ეროვნული თავისუფლების გზით – კიროვნული თავისუფლებისაკენ!
კიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს №20 (1650) 24-26 მარტი. 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი



## მძლავრი ჩრდილოვანი ეკონომიკა ანუ საქართველო იტალიას ხუთჯერ უსწრებს

მეორე გვერდი

## ზვიადიზმი თუ უქართველებო საქართველო?

მეხუთე გვერდი





## სენსაცია! მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ, ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?..

მესამე გვერდი

## რეპორტაჟი არარუსწლოვანთა კოლონიიდან, ანუ „ჯიბგირი“ ინტერვიუს იძლევა

მეექვსე გვერდი

## იქნებ შევარდნაძემაც მიბაძოს ბორიას?..

მეოთხე გვერდი



## რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და რუსები საქართველოში

მეთერთმეტე გვერდი

## სასამართლოში მისულ ჟურნალისტს მსაჯულობა შემომთავაზეს, ათი წუთით ლამის მოსამართლე გავხდი



მეორე გვერდი

## გადასახადში საქართველოში

მერვე გვერდი



## კრიმინალური ქრონიკა

მეექვსე გვერდი

## ვაჰ, ლოთონი, ლოთონი...

მეათე გვერდი

## სპორტული სამყარო



მეშვიდე გვერდი

# თენგიზ სიგუა: მძლავრი ჩრდილოვანი ეკონომიკა ანუ საქართველო იტალიას ხუთჯერ უსწრებს




**— ბ-ნო თენგიზ, ეკონომიკის წამყვან დარგებს საქართველოში მსუბუქი მრეწველობა და კვების მრეწველობა წარმოადგენდა. რა მდგომარეობაა დღესდღეობით ამ სფეროში და რა პარალელების გავლება შეიძლება 1989-98 წლებს შორის?**

— დიახ, ეკონომიკის წამყვან დარგებს ტრადიციულად ეს ორი სფერო წარმოადგენდა და იმდროინდელი ბიუჯეტის ძირითად შემოსავლებს ავსებდა. დღესდღეობით მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ავიღოთ კონკრეტული მაგალითები კვების მრეწველობიდან. ამ დარგში წამყვანი იყო საკონსერვო, ღვინისა და ღვინის პროდუქტების, აგრეთვე, ჩაის წარმოება. თუნდაც, ძალიან მძიმე 1992 წელს რომ შევადაროთ, ძალიან დიდი ვარდნა შეინიშნება. თუ 1992 წელში წარმოებული იქნა შვიდას სამოცდაათი ათასამდე დეკალიტრი კონიაკი, 1997 წელს — სამოცდა ოთხი ათასი. 1992 წელს ცხრა მილიონი ბოთლი შამპანური იქნა ჩამოსხმული. შარშან სულ ასოცდაცხრა ათასი ბოთლი. რაც შეეხება ყურძნის ღვინის წარმოებას, 1992 წელს რვა მილიონ დეკალიტრზე მეტი იყო წარმოებული. 1997 წელს ეს მაჩვენებელი 2,2 მლნ. დეკალიტრამდე დაეცა. ასეთივე მდგომარეობაა ლიქიორ-არაყისა და ჩაის წარმოებაშიც. მაგალითად, თუ 1992 წელს გამოშვებული იქნა ოცდათერთმეტი ტონა დაფასოებული ჩაი, შარშან, 6,2 ათასი ტონა ე. ი. შემცირდა თითქმის ხუთჯერ.

ასევე მნიშვნელოვანია ხილბოსტნეულის კონსერვების წარმოების საკითხი. თუ 1992 წელს ოთხმოცდათხუთმეტი მილიონი პირობითი ქილა კონსერვი იქნა გამოშვებული, 1997 წელს ამ მაჩვენებელმა სამი მილიონი შეადგინა — ვარდნა დაახლოებით ოცდაათჯერ. ასევე მძიმე მდგომარეობაა მსუბუქ მრეწველობაშიც. თუ 1992 წელს წარმოებული იყო 30 მილიონი კვ. მეტრამდე ყველა სახის ქსოვილი, გასულ წელს, მხოლოდ, ოთხას სამოცდათექვსმეტი კვ. მეტრი.

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ 1992 წელი ძალიან მძიმე იყო. აგრეთვე დღესდღეობით მძიმე მდგომარეობაა: ხალიჩების, წინდების, ტყავის, ფეხსაცმელების წარმოებაში.

ამდენად ეს ორი დარგი, რომელზედაც ადრე ვილაპარაკებთ, ტრადიციულად წამყვანი იყო საქართველოს ეკონომიკაში. დღეს კი დაკნინებულია და ბიუჯეტში რაიმე მნიშვნელოვანი შენატანით ვერ შეაქვს.

**— არის თუ არა ისეთი დარგი, სადაც უკუსვლა აშკარად არ შეიმჩნევა, ან პირიქით — საშემოსავლო მაჩვენებლებს ზრდა ეტყობა?**

— არის!

კვების მრეწველობაში ბოლო წლებში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ზრდა უალკოჰოლო სასმელების წარმოების თვალსაზრისით. ეს კი განპირობებულია ბიეჯეტში ისეთი მძლავრი კომპანიის შენატანებით, როგორიცაა „კოკა-კოლა". 1997 წლის ბოლოს უალკოჰოლო სასმელების წარმოებამ ოთხ მილიონ დეკალიტრს გადააჭარბა.

ასევე ზრდის ტენდენციაა მინერალური წყლის წარმოებაში ბორჯომის წყლის ხარჯზე, მაგრამ ეს ორი ქვედარგი, რასაკვირველია, საქართველოს ეკონომიკის წინსვლის ძირითადი პარამეტრი ვერ იქნება. ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას განაპირობებს ისეთი დარგები, როგორიცაა: ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა, მეტალურგია, ხე-ტყის დამუშავება და ა. შ. ამ დარგებში კი ჯერჯერობით ვარდნის შეჩერება ვერ ხერხდება.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# სასამართლოში მისულ ჟურნალისტს მსაჯულობა შემომთავაზეს, ათი წუთით ლამის მოსამართლე გავხდი

გაუგონარი პარადოქსი იქნებოდა კომუნისტების ზეობის ხანაში გენერალური პროკურორისათვის რომ ეჩივლა ვინმეს. ძალოვანი სტრუქტურების უძლეველობის შესახებ ორი აზრი არ არსებობდა, დღეს კი სასამართლო პროცესები, ნებისმიერი პირის წინააღმდეგ მიმართული, არავის აკვირვებს.

19 მარტს კრწანისის რაიონის სასამართლოში გაზეთ „იბერია-სპექტრის" სასარჩელო განცხადება უნდა განხილულიყო საქართველოს გენერალური პროკურორის, ჯამლეთ ბაბილაშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. მას ბრალი გაზეთ „იბერია-სპექტრის" და მისი მფლობელის-მოქალაქე ირაკლი გოცირიძის კანონიერი უფლებების უკანონოდ შეზღუდვაში ედება. სასამართლო სხდომა არ შედგა პროცესზე ერთ-ერთი მსაჯულის გამოუცხადებლობის გამო.

თურმე ნუ იტყვით და ამ დღეს კრწანისის რაიონის სასამართლო მსაჯულთა ნაკლებობას განიცდიდა.

შენობაში შესვლა ძლივს მოვასწარი, ვიღაც კაცმა გამაჩერა: პროცესზე მსაჯული არ მყავს, ათი წუთით შემობრძანდით, თუ შეგიძლიათო.

— ნამდვილად ვიღაცაში ვეშლები, — გავიფიქრე და ბოდიშის მოხდით გზა განვაგრძე. რამდენიმე წუთში მოსამართლემ (ის კაცი მოსამართლე აღმოჩნდა) თხოვნა გამიმეორა (ეტყობა ჩემზე „სანდო" ასე უცებ ვერავინ მოძებნა).

— კი, მაგრამ... — დავიბენი, შემატყო.

— ჩქარა! პროცესს ვიწყებ, გვერდით დამიჯექი, ხმას ნუ ამოიღებ, სულ ეს არის!

შევყოყმანდი... გადაწყვეტილების გამოტანა რამდენიმე წამით დამაგვიანდა, აჩქარებულმა მოსამართლემ კი შემთხვევით შემოსული ნაცნობი „დააპატიმრა", თხოვნა ბრძანების ტონით მოახსენა, მოფიქრება არც აცალა, პირდაპირ პროცესზე მიაბრძანა.

მსაჯულის ფუნქცია ასე უმნიშვნელო არ მეგონა (?!). იქვე ნაცნობ ადვოკატს ვთხოვე გაურკვევლობიდან გამოვეყვანე.

— მოსამართლეს განაჩენის დამოუკიდებლად გამოტანის უფლება არა აქვს. სასამართლო კოლეგია სამი პირისაგან შედგება: მოსამართლის, კოლეგიის თავმჯდომარისა და ორი მსაჯულისაგან. მსაჯულიც იგივე პრიორიტეტით სარგებლობს პროცესზე, რითაც მოსამართლე. პროცესის ჩატარება მსაჯულის გარეშე უხეში



დარღვევაა, თუმცა ახალ კანონმდებლობაში, რომელიც პირველი აგვისტოდან შედის ძალაში, მსაჯულის ინსტიტუტი აღარ არსებობს (?!). ძველი კანონმდებლობით, ნებისმიერი პროფესიის მქონე პიროვნება შეიძლება იყოს მსაჯული, ერთი პირობით, მას სასამართლოს საარჩევნო უბანში შემავალი ორგანიზაციის კოლექტივი უნდა ირჩევდეს. — განმიმარტა მან, ხოლო როცა საქმის ვითარება გავაცანი, მირჩია ამაზე არაფერი დამეწერა: „ბევრი მოსამართლე კრიტიკის და მეტის ღირსიც არის ხშირად, მაგრამ ახლა სხვა შემთხვევა გვაქვსო. ასეთი რამ როგორ დაემართა, მიკვირს, კარგი მოსამართლე და საუცხოო პიროვნება გახლავთო".

მოკლედ, კანონის უხეში დარღვევის შემსწრე გახლდით და ფაქტი დავაფიქსირე, მოსამართლის ვინაობის გამხელისგან თავს შეგნებულად ვიკავებ.

კიდევ კარგი, ახალი კანონმდებლობა მსაჯულის ინსტიტუტს არ ითვალისწინებს (თუნდაც გარკვეულ ინსტანციებში მაინც), თორემ ჩემი შემთხვევის მსგავსად, შემთხვევითი პირის პროცესზე მსაჯულად შემთხვევით დასმა კარგს რომ არაფერს მოგვიტანს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

ეს რაც ახალ კანონმდებლობას შეეხება ზოგადად, მანამდე კი, ვიდრე იგი ძალაში შევიდოდეს, მოსამართლე ძველს უნდა დაემორჩილოს!

**მანანა ლოზუანიძე**

# ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა!!!

დღევანდელ საქართველოში, დანიის პრინცისა არ იყოს, ბევრი რამ ხდება უცნაური და შიგადაშიგ, გაუგებარიც!..

უცნაურია, მაგალითად ის, რომ მოქალაქეს პენსიიდან თუ ჯამაგირიდან უქვითავენ ფულს... არარსებული ელექტროენერგიის დანახარჯებისათვის!..

გაუგებარია, მაგალითად ის, რომ არცთუ იშვიათად, მავანის და მავანის ხელფასი ოცდახუთ ლარს არ აღემატება, გარაჟში კი სამი მანქანა უყენია: მეუღლის, ქალიშვილისა და საკუთარი პერსონისათვის!..

საკმაოდ უცნაურია, ჩვენი აზრით ის, რომ დასავლეთ საქართველოდან მომავალი მანქანის მძღოლს რიკოთის გვირაბში გავლისათვის ფულს გვირაბში შესვლამდე კი არ ახდევინებენ, არამედ გვირაბის გავლის შემდეგ!.. (შე დალოცვილო, იქნება ერთი თეთრიც არ მიჭყავის ჯიბეში და უფასო გზით წავალ).

თავიდან გაუგებრად მოგეჩვენებათ ის, რომ თუკი ავტობუსის მძღოლი ქვითარს მოითხოვს, მაშინ მისგან სამ ლარს იღებენ, თუ ქვითარზე უარს იტყვის — ორ ლარს!..

აბსოლუტურად გასაგებია ის ამბავი, რომ „ორლარიანი" ავტობუსების რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატება "სამლარიანებისას", რადგან შესანიშნავად მოქმედებს ურცხვი გარიგების კლასიკური პრინციპი — „შენც სსუ, მეც სსუ"!

რაღა თქმა უნდა, კმაყოფილნი არიან „ორლარიანი" ავტობუსის მძღოლები, რადგან გახალტურებული თითო-თითო ლარით ოთხ-ოთხ „საოჯახო ლოტოს" იყიდიან და სხვას თუ ვერაფერს, მეუღლის გულს მაინც მოიგებენ!..

ხოლო საკონტროლო პუნქტის თანამშრომლებს რომ თითოეული მძღოლისაგან (უკეთ რომ ვთქვათ — სახელმწიფოსაგან) წაგლეჯილ ორ-ორ ლარს მთლიანად არ შეარჩენენ, ამას თქმა რად უნდა!..

არც ის უნდა ეეჭვებოდეს ვინმეს, რომ იმ „არშემჩენელთა" კვალი დედაქალაქამდე მოდის!

ხომ არ მითქვამს, სტრუქტურებამდემეთქი!..

**P.S.** ეგრეთ წოდებული „დიდი სამამულო ომის" ბოლო წლებში მეომრებს ნება დართეს ნადავლით სავსე რამდენიმე ამანათი გაეგზავნათ შინ. ქართველები ბოსტონის, შივიოტის, ტრიკოს, კოვერკოტისა თუ ინდიგოს საკოსტიუმე ნაჭრებს ტენიდნენ ხის ყუთებში, ხოლო ერთმა ქუთაისელმა ებრაელმა საკერავი ნემსებით გაძეძგილი ამანათები გამოგზავნა, რამაც ქართველ მეომრებში, თურმე ირონიული ღიმილი გამოიწვია.

მხოლოდ ომისშემდგომმა გაჯახირებულმა წლებმა გამოამჟღავნა ნემსებზე დაფეთებული ებრაელის კომერციული ტალანტი!..

ერთი შეხედვით, ნემსებივით „წვრილმანად" მოეჩვენება მავანს თითო მანქანიდან ორად ორი ლარის წაღლეტა, მაგრამ ორ ლარს თუ ათასზე გავამრავლებთ, ამბობენ, მთელ ორიათას ლარს მიიღებთო!..

ჰოდა, ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა!..

არადა, კომპიუტერულ ეპოქაში ვცხოვრობთ!..

**გიზო ზარნაძე**

# ახალი ამბები

## გ. აბსანძემ საქართველოში კერძო ადვოკატი დაიქირავა

შსს-ს 5 საგამოძიებო იზოლატორში მყოფი საქართველოს ექს ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე თავის ადვოკატს შეხვდა - იტყობინება „იფრინდა".

ადვოკატთან შეხვედრა პირისპირ მოხდა, კონტრაქტი კლიენტსა და ადვოკატს შორის ხელმოწერილია. ადვოკატის თხოვნით, მისი პიროვნება არ აფიშირდება. თუმცა, ცნობილია, რომ ის ქართველი დამოუკიდებელი ადვოკატია.

ასევე ცნობილი გახდა, რომ გ. აბსანძემ ადვოკატო თავისი სურვილისამებრ აირჩია.

როგორც პროკურატურაში ინფორმირებული წყაროდან გახდა ცნობილი, გ. აბსანძეს სისხლის სამართლის კოდექსის ცხრა მუხლით აქვს წაყენებული ბრალდება. კერძოდ, 65-ე - სამშობლოს ღალატი, 78-ე - ბანდიტიზმი, 17-ე - ტერაქტის მონაწილეობაში მცდელობა, 104-ე - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ ვითარებაში, და სხვა.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, 65-ე მუხლი - სამშობლოს ღალატი, სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს.

## შერიგების პროცესი გრძელდება

სოფელ კოკის მკვიდრმა პაატა მორგოშიამ ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს ჩააბარა 5 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი ПМН-2 და НmkС-ის სისტემის ერთი ჭურვი — აცნობეს გეა-ს კორესპონდენტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში.

წალენჯიხაში მცხოვრებმა სანდრო ჭანტურიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის სამმართველოში, რომელიც ზუგდიდის რაიონშია განლაგებული, ჩააბარა ყუმბარმყორცნის 5 ჭურვი და კარაბინის 77 ვაზნა.

როგორც გეა-ს კორესპონდენტი ზუგდიდიდან იტყობინება, შერიგების და იარაღის ჩაბარების პროცესი გრძელდება.

## იგორი შესაძლოა ჩინეთშიც აღმოაჩინონ

„მე არ გამიკვირდება, თუ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები განაცხადებენ, რომ უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი იგორ გიორგაძე ჩინეთში იმყოფება" - თქვა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს ერთიანი კომუნისტურის პარტიის ლიდერმა პანტელეიმონ გიორგაძემ.

„ხან ამბობენ, რომ იგორ გიორგაძე მოსკოვშია და 8 კაცის დაცვით დადის საპარიკმახეროში, ხან ვითომ ავსტრიაშია, ხან კიდევ სადმე სხვაგან" - აღნიშნა სეკპ-ის ლიდერმა. „საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები ამ უსაფუძვლო ჭორებს იმიტომ იგონებენ, რომ დაამტკიცონ - პურს ტყუილად არ ვჭამთო" - განაცხადა გიორგაძემ. მისი თქმით, ეს ყველაფერი განგებ კეთდება, რათა ხალხის ყურადღება მოაშორონ იმ გადაუწყვეტელ პრობლემებს, რომლის წინაშეც ხალხი საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ დააყენა.

## სამცხე-ჯავახეთში რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის წინააღმდეგი არიან

„თუ ვინმე გაბედავს სამცხე-ჯავახეთიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას, ამ შემთხვევაში რეგიონის მოსახლეობა გზებს გადაკეტავს და ამ რაიონში არავის შეუშვებს" - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას სეკპ-ის ლიდერმა, პანტელეიმონ გიორგაძემ, რომელიც გუშინ დაბრუნდა სამცხე-ჯავახეთიდან.

გიორგაძის თქმით, „სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა თვლის, რომ რეგიონიდან რუსეთის სამხედროების გასვლის შემთხვევაში ამ რეგიონში ჩაასახლებენ თურქ-მესხებს და დაიწყება სისხლისღვრა".

„რუსი სამხედროების ბაზა ამ რეგიონის მოსახლეობის 70%-ს კვებავს, რადგან მოსახლეობა ამ ბაზის მომსახურებაზე მუშაობს" - თქვა გიორგაძემ. მისი თქმით, თუ საბოლოოდ მაინც გადაწყდება მათი გაყვანა, რუსებს შორს წასვლა არ მოუწევთ, რადგან მათ სიხარულით მიიღებენ სომხეთში.

სომხეთში მიმდინარე საპრეზიდენტო ბატალიასთან დაკავშირებით პანტელეიმონ გიორგაძემ აღნიშნა, რომ არც ერთი კანდიდატი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში აპირებს მონაწილეობის მიღებას, რუსეთთან ჩხუბს არ აპირებს და ისინი მის სურვილებს გაითვალისწინებენ, ასე რომ, ვინც არ უნდა იყოს სომხეთის მომავალი პრეზიდენტი, ჩვენს პრეზიდენტს მისი აზრის გათვალისწინებაც მოუწევს.

# სენსაცია

## მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?..

**/გაგრძელება, დასაწყისი „საქართველო" №17/**

912 წელს ლაშქრობიდან უკან მომავალი როსთა რაზმი თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს ხაზართა ვასალებმა-ბულგარებმა და ბრუტასებმა. ამავე წელს მიიცვალა ხელგი და კონუნგის ადგილი დაიკავა რიურიკის შვილმა ინგვარმა. მან შეკრა კავშირი პაჭანიკებთან, რომლებიც ამ დროისათვის უკვე აკონტროლებდნენ აღმოსავლეთ ბალკანეთსა და ვალახეთს. სულ ცოტა 920 წლამდე პაჭანიკებთან შეტაკებებს ადგილი არ ჰქონია. 941 წელს ინგვარმა დაიწყო ომი ბიზანტიასთან, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა, 944 წ. დაედო მასთან ახალი ზავი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როდესაც 941 წელს ბიზანტიელები ანადგურებდნენ რუსთა რაზმის ნარჩენებს, ინგვარმა გაგზავნა ხალხი სამშობლოში, შვედეთში დახმარების სათხოვნელად. შველაც გამოჩნდა. გარდა ამისა, ინგვარი მოელაპარაკა პაჭანიკებს და კვლავ დაიძრა იმპერიისაკენ, მაგრამ ბიზანტიელები მას ბალკანებზე დახვდნენ და დაიდო ხელშეკრულება, რადგან იმპერატორმა მას ფული შესთავაზა დდა მისმა ხროვამ უარი განაცხადა ომზე. **Когда Кесарь без войны дает нам серебро и золото, то чего более можем требовать. И кто знает, кто победит, мы или они?**

945 წელს კონსტანტინოპოლს მიემართება ახალი რუსული ელჩობა, 51 კაცი. ამათგან 25 დიპლომატი და 26 ვაჭარი. და კვლავ დიპლომატთა შორის შვედი-როსები არიან. აი, ვაჭრებში კი პირველად ჩნდება ორი სლავური სახელი, მაგრამ ამასთან რამოდენიმე თურქულიც.

მაგრამ დავასრულოთ ჩვენი მსჯელობა რუსული სახელმწიფოს ნორმანული არსის შესახებ. პრაქტიკულად ყველა მთავრის, მათ შორის პოლუკროვოკთა სამშობლოს მაინც სკანდინავია წარმოადგენდა. გავიხსენოთ, ჯერ კიდევ ინგვარი 942 წელს საშველად შვედეთიდან უხმობს თვისტომთ. თვითონ ვალდემარი 972 წელს გარბის შინ, შვედეთში და იქიდან ჩამოყვანილი რაზმით ეპატრონება კიევს და სიცოცხლეს ასალმებს თავის ნახევარძმას. მის შვილს იაროსლავსაც ჩამოჰყავს რაზმი შვედეთიდან, რათა გამოეყოს მამას და აღარ აძლიოს ხარკი მას.

ვალდემარის მეუღლენი არიან — მალფრიდა, როგნედა და ანა — ბერძენი. მისი შვილის, იაროსლავის მეუღლე ინგრიდა ასულია შვედეთის მეფის ოლოფისა. სკანდინავიაში გამართულ დინასტიურ ომებში როსები ძალზე აქტიურად მონაწილეობდნენ. ვალდემარი ამარცხებს ერიკ დიდს და ტახტზე აჰყავს ოლოფი, თავისი მხედართმთავრის სიგურდის ძმისწული. თავის მხრივ ოლოფი რამოდენიმე წელიწადში თავს ესხმის და იპყრობს ალდეიგაბურგს (ძველი ლადოგა), მაგრამ ბოლოს და ბოლოს რამოდენიმე წლის შემდეგ დებს ზავს.

მსგავსი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება. ამგვარად, ნუ გაგვაოცებს რუს კონუნგთა ასეთი ფრცელი ნათესაური კავშირები. საბოლოო ჯამში მათი სათავე სკანდინავიაშია.

X ს-ის შუა ხანისათვის ხაზარები, დაკარგეს რა ნელ-ნელა ყველა მოკავშირე და ბოლოს მათი მთავარი პარტნიორი, ბიზანტია, ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ძლიერდებოდა ზეწოლა აღმოსავლეთიდან (პაჭანიკები, ოზო-თორქები) და სამხრეთიდან (არაბები). მაგრამ საბოლოო დარტყმა ხაზარებს ნორმანებმა მიაყენეს. **В год 965 пошел Святослав на хазар ... и в битве одолел Святослав хазар и город их и Белую Вежу взял.**

რიურიკოვიჩების გვარში სლავურ სახელთა გაჩენასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს შემდეგი — დინასტიური პირველობისათვის მებრძოლი კონუგები მხარდაჭერას მათ მიერ დამორჩილებულ ტომებში ეძებდნენ. კიევის მთავარმა ინგვარმა, ცდილობდა რა შეენარჩუნებინა დინასტია, გადაწყვიტა დაყრდნობოდა დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრებ აღმოსავლეთ სლავებს და თავის შვილს ჰელგმარი უწოდა (ძველგერმანულიდან სიტყვა-სიტყვით თარგმანში-სვიატოსლავი), რამაც ხელი შეუწყო რიურიკოვიჩთა დინასტიის გამარჯვებას.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## ვახტანგ ცაგარეიშვილი: არჩევნებს ვიყენებთ, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას

*ვახტანგ ცაგარეიშვილი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" აქტიური წევრია და წლების განმავლობაში იღვწის ამ ორგანიზაციაში.*

**— ბატონო ვახტანგ! თქვენ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" წევრი ბრძანდებით. სამომავლოდ რა ამოცანა გაქვთ დასახული?**

— დღესდღეობით, კონკრეტული ამოცანაა, რომ ბოლოს და ბოლოს ჩამოყალიბდეს ქართული სახელმწიფო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები უნდა ეროვნული შერიგებით დასრულდეს, — არა ფსევდო შერიგებით, არამედ-ნამდვილი ეროვნული შერიგებით. პირველ ყოვლისა, საქართველოს პარლამენტმა შეფასება უნდა მისცეს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებს, კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ სამართლებრივი შეფასება მიეცეს. სამართლებრივი და არა ისტორიული და პოლიტიკური. შეფასება უნდა იყოს საერთაშორისო სამართლებრივი.



ეს ერთი და მეორე — რუსის ჯარი უნდა გაყვანილ იქნეს. ამის შემდეგ ექნება საფუძველი სწორედ შერიგებას. თუ ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს პარლამენტი, მაშინ ჩვენ ჩვენი ძალებით გავაკეთებთ ამას, ჩავატარებთ რეფერენდუმს და ვიმსჯელებთ ამ საკითხებზე, რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანაზე...

**— რამდენადაც მახსოვს, რუსის ჯარის გაყვანის მოთხოვნაზე ათასობით ადამიანმა მოაწერა ხელი. რა შედეგი მოჰყვა ამას?**

— „მრგვალმა მაგიდამ" ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო ადამიანს, ჯგუფებს. დაახლოებით 300000-მდე ხელმოწერა შეგროვდა, შემდეგ ეს ხელმოწერები პრეს-კონფერენციაზე მოვიტანეთ. პრესის მუშაკებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი თვალით ენახათ ხელმოწერები. ამის შემდეგ, პარლამენტს მივმართეთ, რათა ამ საკითხის რეალიზაცია მოეხდინათ, მათ ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ფაქტისათვის. ამის შემდგომ, ჩვენ ჩავატარეთ აქციები სხვადასხვა საელჩოსთან. ე. წ. ომონმა დაარბია ჩვენი აქციები, მიუხედავად იმისა, რომ აქცია ტროტუარზე მიმდინარეობდა. დაარბიეს, ჩვენი წევრები სცემეს და დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენი ქმედებანი არ მოგვიშლია, შევადგინეთ რეფერენდუმის მოწვევის ჯგუფი. უფრო სწორად, დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმის ჩასატარებლად 200000-მდე ხელმოწერა მოგროვდა. ამის შემდეგ უნდა რეგისტრაციაში გაატაროს საარჩევნო კომისიამ ეს ხელმოწერები და პრეზიდენტმა უნდა ჩაატაროს რეფერენდუმი ასეთი კითხვით: „გსურთ თუ არა საქართველოში იმყოფებოდეს რუსის ჯარი". სხვათაშორის, რუსეთის სარეფერენდუმო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა ჩვენი ჯგუფი და სასაცილო ის არის, რომ საარჩევნო კომისიის წევრებმა თავიანთი ფუნქცია არც იციან. მათი რწმენით, საქართველოში რეფერენდუმის ჩატარების მიზეზი არც არის, არც გაგვატარეს რეგისტრაციაში. ამის შემდეგ ჩვენ მივმართეთ სასამართლოს. სასამართლოც ისე წარიმართა, როგორც საარჩევნო პროცესი. მოპასუხე ერთი წარმომადგენელი იყო, რომელმაც არგუმენტი ვერ მოიყვანა, რატომ არ შეიძლებოდა რეფერენდუმის ჩატარება. მარტო ის თქვა, ექსპერტის მტკიცებით, საკითხი არ არის სარეფერენდუმოო. არადა, საკითხი კი იყო სარეფერენდუმო, მაგრამ რეფერენდუმის ჩატარება არ უნდოდათ რაღაც მიზეზით. საქართველოში რუსის ჯარის გაყვანის მოთხოვნა არანაირად არ ისმება, მხოლოდ და მხოლოდ აქციებით. არანაირი სხვა საშუალება, ჩვენ თვითონ ვამუშავებთ რაღაც მეთოდებს, იმდენად შებოჭილები ვართ, ე. ი. პარლამენტი არაფერს იღონებს, ცხადია და, რუსის ჯარი რჩება საქართველოში.

**— ბატონო ვახტანგ! თქვენ ბრძანეთ, როგორ გააბიაბრუეს თქვენი ხელმოწერები რეფერენდუმის მოწვევის თაობაზე. რა გარანტია გაქვთ, რომ სხვა მოთხოვნებზე ხელმოწერებს ექნება შედეგი?**

— მაშინ, ჩეჩნებს რა გარანტია ჰქონდათ, ომი რომ დაიწყეს რუსებთან? ერთადერთი გარანტია ის არის, რომ მსოფლიო პოლიტიკის მოთხოვნაა ისეთი, რომ რუსეთის იმპერია უნდა დაიშალოს, რომ რუსეთი უნდა გავიდეს კავკასიიდან, ასევე საქართველოდან. ასე რომ, ეს აქტი ბუნებრივად უნდა მოხდეს და არა სისხლისღვრით, ამიტომ ვმოლვაწეობდით ასე, მოთხოვნებით. როგორც ჩეჩნებმა პარადოქსულად მოიგეს ომი, ასევე უნდა მოვიგოთ ჩვენ — პოლიტიკით.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## თენგიზ სიგუა: მძლავრი ჩრდილოვანი ეკონომიკა ანუ საქართველო იტალიას ხუთჯერ უსწრებს

მე-2 გვერდიდან

**— რა კომენტარს გაუკეთებდით პრეზიდენტის მიერ წამოწყებულ ეკონომიკურ რეფორმებს?**

— პრეზიდენტის მიერ ეკონომიკური რეფორმების საფუძვლად მიჩნეულია დოკუმენტი „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპები და პროგნოზული პარამეტრები 1994-1995 წლებისათვის". ამ დოკუმენტის მიხედვით მთლიანი შიდაპროდუქტის ზრდის ტემპები 1993 წლის მიმართ განსაზღვრულია ორი ვარიანტით — მინიმალური და მაქსიმალური. მაქსიმალური ზრდის ტემპი 152,6-დან 224,9-მდე უნდა გაიზარდოს. წარმოების ვარდნის შეჩერების თარიღად 1995 წელი გამოცხადდა. ეროვნული შიდა პროდუქტის ზრდამ ამ წელს 1995 წელთან შედარებით 102%-ი შეადგინა, ხოლო 1996 წელს 110%, 1997 წელს 111,3%; შეადარეთ ეს ციფრები პროგნოზულ პარამეტრებს და დარწმუნდებით, რომ კომენტარი ზედმეტია. იბადება კითხვა: რას ეყრდნობოდა რეფორმატორების ზღვარგადასული ოპტიმისტური პროგნოზი? ჩემი აზრით დაბალ პროფესიონალიზმსა და რეფორმების განხორციელების ორ საფეხურიანობის უგულვებელყოფას. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 1992 წელს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიხედვით გარდაქმნათა პროგრამები უნდა დაიყოს ფინანსური სტაბილიზაციისა და სტრუქტურულ გარდაქმნათა ეტაპებად. ეს სასვებით მართებული რეკომენდაციები გახლდათ, რომელიც ცხოვრებამაც დაადასტურა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მაგალითზე (ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, უნგრეთი და ბალტიის სახელმწიფოები) ფინანსური სტაბილიზაციის გარეშე შეუძლებელია წარმოების ვარდნის შეჩერება. ისეთ პირობებში, როდესაც გარე და შიდა ინვესტიციების კატასტროფული უკმარისობაა, რესტრუქტურიზაცია არ ჩატარებულა, იმპორტი ბევრად ჭარბობს ექსპორტს, რის შედეგადაც მკვეთრად უარესდება საგარეო სავაჭრო ბალანსი და ხდება კაპიტალის საზღვარგარეთ გადინება. წარმოების სტაბილურობის და მისი მნიშვნელოვანი ზრდის საპროგნოზო დოკუმენტებში ასახვა უბრალოდ „ბლეფია".



**— დასრულდა წინასაბიუჯეტო წელი. როგორ შეაფასებდით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს?**

— მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლები არის სახელმწიფოში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტები. ორი-სამი წლის განმავლობაში ოფიციალური მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა შეინიშნება საშუალოდ 10 პროცენტით წელიწადში. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1990 წლიდან მნიშვნელოვანი ვარდნაა წარმოებისა 20-30%-ით, მაშინ ზრდაზე ლაპარაკი აბსურდულია.

ასევე გასარკვევია მეორე საკითხიც. რისგან შედგება მთლიანი შიდა პროდუქტი? ეს გახლავთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მომსახურეობისა და ვაჭრობის საერთო მაჩვენებლები, რომელიც ჯამდება წლის ბოლოს და გამოდის როგორც ერთ-ერთი ძირითადი ბირთვი ეკონომიკისა. თუ ჩვენ გავაკეთებთ მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზს მნიშვნელოვან დასკვნამდე მივალთ. როგორც წესი ყოველ ნორმალურ სახელმწიფოში მთლიან შიდა პროდუქტში სულ ცოტა 30% უნდა იყოს სახელმწიფოში წარმოებული პროდუქტის წილი. როგორც ოფიციოზები უჩვენებენ 1997 წელში ექვსი მილიარდის მთლიანი შიდა პროდუქტი იქნა წარმოებული. აქედან, სულ ცოტა 40% ე. ი. — 2 მილიარდი და მეტი, უნდა იყოს საქართველოში წარმოებული. საუბედუროდ, ჩვენს პირობებში ასე არ ხდება. ოფიციალური მონაცემებით მთლიან შიდა პროდუქტში მრეწველობის წილი მხოლოდ რვაას მილიონს შეადგენს. ეს კი, მხოლოდ 15%-ია. საკითხავია რითი ივსება დანარჩენი? ძირითადად საქონელბრუნვით (ვაჭრობით). ეს კი ძალიან ცუდი მაჩვენებელია.

ამ ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ხელისუფლების კურსი მიმართულია, არა შიდა მრეწველობის განვითარებისაკენ, არამედ იქეთკენ, რომ საქართველო მიაბან იაფფასიან აღმოსავლურ ბაზარს. შიდა პროდუქცია არ იქმნება. მოთხოვნილება ასე თუ ისე, არსებობს, ე. ი. სახელმწიფო უნდა წავიდეს იმპორტის გადიდებაზე. ამ ტენდენციის გაგრძელება, ჩემი აზრით, სახელმწიფოსათვის ძალიან ცუდია. ამ შემთხვევაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ლოზუნგი მილიონი სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ, რადგან თუ სახელმწიფო სხვის იმპორტს მიება და საკუთარი წარმოება არ განავითარა, ველარ შექმნის სამუშაო ადგილებს. გამომდინარე აქედან ზემოაღნიშნულ საკითხებს უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს. ყურადღება უნდა გამახვილდეს შიდა ბაზარზე, რაც დღესდღეობით სამწუხაროდ არ შეიმჩნევა.

**— რა მდგომარეობაა ქიმიურ მრეწველობაში?**

— აქ ჯერჯერობით მნიშვნელოვანი ზრდა არ შეინიშნება. თუმცა არამარტო აქ. ასეთივე მდგომარეობაა მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობასა და ელექტრო-ტექნიკურ წარმოებაში. ციფრობრივი მონაცემებით, რომელსაც სტატისტიკა გვაწვდის, მაჩვენებლების ვარდნა, ჯერ კიდევ არ არის შეჩერებული და კატასტროფულად მიმდინარეობს. ამიტომ, ხელისუფლებამ ყურადღება უნდა დაუთმოს რესტრუქტურიზაციასა და ამ დარგებში წარმოების მაჩვენებლების ზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა არ იქნება. რაც შეეხება ბიუჯეტს, ოფიციალური მონაცემებით 1997 წელს შექმნილია 6,2 მილიარდი ლარის მთლიანი შიდა პროდუქტი, თუ ეს რეალურია საქართველოში არსებული საბეგარო სისტემა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამ ციფრის სულ ცოტა 25%-ი ე. ი. 1,5 მილიარდი ლარი უნდა იყოს ბიუჯეტის შემოსავალი. ამ დროს როდესაც უკვე დამტკიცებულია 1998 წლის ბიუჯეტი შემოსავალ ნაწილში ფიგურირებს ციფრი 760 მილიონი ლარი. სად არის დანარჩენი, დაახლოებით 700 მილიონი ლარი, მაშინ, როდესაც, გვყავს ასეთი მძლავრი საგადასახადო სისტემა და საბაჟო, რომლებიც ვალდებული არიან ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი შეავსონ, რაც თავის მხრივ წარმოადგენს საფუძველს იმისა, რომ პენსიები და დახმარებები დაგვიანებით არ გაიცეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## თენგიზ სიგუა: მძლავრი ჩრდილოვანი ეკონომიკა ანუ საქართველო იტალიას ხუთჯერ უსწრებს

მე-2 გვერდიდან

ერთ-ერთ გამოსვლაზე პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე 50%-ს აღწევსო. ეს ფინანსთა მინისტრმა — მიხეილ ჭკუასელმაც არ დაფარა და პირდაპირ თქვა: „ბიუჯეტში არ შემოსავლების დონე კატასტროფულ მაჩვენებლებს აღწევსო". ამით უკვე ნათქვამია, რომ მაფიოზურ-კლანური წრეები ჯერ კიდევ დათრგუნული არ არის და საბიუჯეტო შემოსავლების საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ მათ ჯიბეში მიდის. თუ უმოკლეს პერიოდში ეს არ აღიკვეთა, ეკონომიკურ სტაბილურობაზე ლაპარაკი არასერიოზულად მიმაჩნია.



**— ბ-ნო თენგიზ, თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს „მოქალაქეთა კავშირი" შეასრულოს წინასაარჩევნო პერიოდში ელექტორატისადმი დანაპირები: „მილიონი სამუშაო ადგილი საქართველოში"?**

— რასაკვირველია ეს არარეალურია და იუმორის დონეზეც კი დადის. ასეთი დანაპირები ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

1997 წლის არჩევნებში საფრანგეთში გაიმარჯვეს სოციალისტებმა. მე ვიცნობ მათ პროგრამებს, სადაც ჩაწერილია, რომ მომავალ ხუთწლედში, როდესაც ისინი იქნებიან ხელისუფლებაში, 55 მილიონიან საფრანგეთში ეცდებიან შექმნან 600-700 ათასი სამუშაო ადგილი. ჩვენი გამარჯვებული პარტია მოქალაქეთა კავშირი 1995 წლის პროგრამით 5 მილიონიან საქართველოში მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას აპირებს. ალბათ, დაპირება რომ ყოფილიყო ათჯერ ნაკლები, მისი განხორციელებაც პრობლემატური იქნებოდა. ამიტომ, ამ მილიონ სამუშაო ადგილზე ლაპარაკი უნდა შეწყდეს. მით უმეტეს, ტენდენცია ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა, ძალიან შეზღუდულია. უფრო მეტიც, ზოგიერთ საწარმოში ახლაც კი მიმდინარეობს კადრების შემცირება. ამიტომ, მიმაჩნია, რომ „მოქალაქეთა კავშირმა" ბოლოსდაბოლოს უნდა მოხსნას ეს „ბლეფური" ლოზუნგი.

**— ოფიციოზები დასაქმებულად თვლიან იმათ, ვინც მიწა მიიღო. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ მიწის რეფორმა 1992 წლის 18 იანვარს დაიწყო. მაშინ, როდესაც გამოიცა მთავრობის დადგენილება და დაიწყო მიწის პრივატიზაცია საქართველოში. ეს რომ მოქალაქეთა კავშირმა მიიწეროს, უბრალოდ, სასაცილო იქნება. რადგან, როგორც აღვნიშნე, ეს პროცესი 1992 წელს დაიწყო და დღესაც გრძელდება.

მეორეც, მიწის გადაცემით დასაქმების პრობლემა არ მოიხსნება. შიდა მეურნეობა გლეხს ადრეც ჰქონდა. უბრალოდ, ახლა გაუდიდდა მას ფართობები. იმის თქმა, თითქოს, ამით შეიქმნა სამუშაო ადგილები, მაპატიეთ, მაგრამ ეს სიცრუეა. რეალურად სამუშაო ადგილები მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როდესაც ეკონომიკას აღმავლობა დაეტყობა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ აღმავლობის პერსპექტივები, ჯერჯერობით არ ჩანს, რადგან, ადგილიდან არ იძვრის მრეწველობა და ეკონომიკის წამყვანი დარგები.

თუ ჩავთვლით, რომ ენერგეტიკის დარგში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდო, წარმოებული ელექტროენერგიის მატება უნდა შეიმჩნეოდეს. გადავხედოთ სტატისტიკას. ნათლად დავინახავთ, რომ 1994 წელში ელექტროენერგიის გამომუშავება აღწევს 7 მილიარდ კილოვატსაათს. 1995-97 წლებში იგივე რაოდენობაა, ე. ი. პრაქტიკულად ზრდა არც ერთი კილოვატით არ შეიმჩნევა, მიუხედავად ამხელა ინვესტიციების ჩადებისა. თუ ენერგეტიკის სფეროს გაუმჯობესება დაეტყო, მაშინ ამუშავდება მრეწველობაც, რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს სტაბილური ეკონომიკის ჩამოყალიბებას. ეს უკანასკნელი კი დასაქმების პოლიტიკას წაადგება.

ჩემი გაანგარიშებით, სულ ცოტა, 4 მილიარდით უნდა გაიზარდოს ენერგიის წარმოება, რათა საქართველოს მრეწველობის გარანტირებული მომარაგება მოხდეს.

**— რა წარმოადგენს საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის დასაყრდენს?**

— არ არსებობს სახელმწიფო, სადაც არ არსებობდეს ჩრდილოვანი ეკონომიკა. დიდი შვიდეულის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი ჩრდილოვანი ეკონომიკური მაჩვენებლებით გამოირჩევა იტალია. საშუალოდ 8-9%-ის დონეზე. დიდი ბრიტანეთი კი ამ მხრივ ყველაზე კარგად გამოიყურება, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე 4%-ს არ აღემატება. ჩვენთან სახელმწიფოს პირველი პირიც არ მალავს, რომ ეს მაჩვენებლები 50 პროცენტს აღწევს, რაც კატასტროფულია. რა განაპირობებს ამას? დამთავრდა 1997 წელი. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში შემოტანილია ხუთას ორმოცი ათასი ტონა ხორბალი, მაშინ როდესაც დღევანდელ პირობებში საქართველოში პურის პრობლემა არ არსებობს, სულ ცოტა, მილიონ ორასი ათასი ტონა ხორბალია საჭირო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ არ ვამარაგებთ აფხაზეთს, მოსახლეობის ნაწილი გასულია საქართველოდან, ასეთ პირობებში საჭიროა სულ ცოტა მილიონი ტონა ხორბალი. გვიჩვენებენ, რომ ხუთას ორმოცი ათასი ტონაა შემოტანილი. ამას დაუმატოთ სახელმწიფოში წარმოებული ხორბალი, რომელიც შემოტანილთან ერთად დაახლოებით 700 ათას ტონას აღწევს. 300 ათასი ტონის შემოტანის წყარო არ ჩანს. აი, ეს არის ჩრდილოვანი ეკონომიკა... მაგრამ ასეთივე მდგომარეობაა ნავთობპროდუქტების მხრივაც, რომელიც საბაჟოს გვერდის ავლით შემოდის. იგივე უნდა ითქვას არა მარტო იმპორტზე, არამედ ექსპორტზედაც.

**ესაუბრა კოკა კაპანაძე**

**/გაგრძელება შემდეგ ნომერში/**

## ბორის ელცინმა მთავრობა გადააყენა

### იქნებ შევარდნაძემაც მიბაძოს ბორიას?..

გუშინ დილით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერა განკარგულებას მთავრობის გადაყენების შესახებ. განკარგულების ტექსტში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 83-ე და 117-ე მუხლების თანახმად, პრეზიდენტმა გამოაცხადა მთავრობის გადადგომის შესახებ. პრეზიდენტმა მთავრობის წევრებს სთხოვა, რომ ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. მთავრობის მეთაურის მოვალეობის შესრულება პრეზიდენტმა დროებით თვითონ იკისრა.



პრეზიდენტ ბორის ელცინის პრესსამსახურის ცნობით, მთავრობის გადაყენების განკარგულების ხელმოწერისას პრეზიდენტი ქვეყნის კანონებითა და კონსტიტუციით ხელმძღვანელობდა. რუსეთის კონსტიტუციის მეშვიდე მუხლის თანახმად პრემიერ-მინისტრის გადაყენებას ავტომატურად მოჰყვება მთელი მთავრობის გადადგომაც. როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურში აღნიშნეს, მთავრობის გადადგომა ლოგიკური გაგრძელებაა პრემიერ-მინისტრის გადადგომისა. ხოლო პრეზიდენტის მიერ პირველი ვიცე-პრემიერის, ანატოლი ჩუბაისის და ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის ანატოლი კულიკოვის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ცალკე განკარგულებების გამოცემა ნიშნავს, იმას, რომ ისინი თავიანთ მოვალეობებს აღარ შეასრულებენ ახალი მთავრობის ფორმირებამდე.

რუსული დემოკრატია რა „ხილიც" არის, ყველას კარგად მოეხსენება. ყოველ შემთხვევაში, თავისი პოლიტიკით ყოფილი კოლონიების მიმართ, მაგრამ ელცინის ამ ნაბიჯმა (მართალია, წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამიზნულმა), ჩვენც კი მოგვხიბლა. მან ერთი ხელის მოსმით გადააყენა მთავრობა და თვალსაჩინოდ ანახა სხვებს, მაგალითად, ჩვენს პრეზიდენტს, თუ როგორ შეიძლება კორუმპირებული მთავრობის ერთი მუშტის მოქნევით ორმოში გადაჩეხვა. მაგალითი გადამდებიაო, ნათქვამია, იქნებ შევარდნაძემაც მიბაძოს ბორიას?..

## ვახტანგ ცაგარეიშვილი: არჩევნებს ვიყენებთ, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას

მე-3 გვერდიდან

**— თქვენ ერთიანობა ახსენეთ. რამდენადაც ვიცი, „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" სხვა პარტიებთან ერთიანობისაკენ არ ილტვის, რატომ?**

— ეროვნული ერთიანობისას მთელი ერი უნდა იყოს გაერთიანებული, რათა ძალადობით არ გადაწყდეს საქმე, რათა კანონი იყოს დაცული. ამისათვის კი ეროვნული პარტიები, ყველა პარტია რომ იყოს ერთად, არ არის აუცილებელი. რას ჰქვია ერთად? როგორ შეიძლება ჩვენ და სოციალისტები ვიყოთ ერთად? თუ შეიძლება, ამიხსენით!

**— სოციალისტებს არ ვგულისხმობ, ბატონო ვახტანგ! მე ეროვნული მიმართულების პარტიებს ვგულისხმობ...**

— ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ეროვნულ პარტიებთან, მაგრამ გაერთიანებამ შეიძლება დააზარალოს საერთოდ ეროვნული მოძრაობა. ეროვნული მოძრაობა, პოლიტიკურად, „მრგვალმა მაგიდამ" მოიტანა იმიტომ, რომ 1990 წლის არჩევნებში ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენი ხალხით იყო უმეტესად დაკომპლექტებული და ჩვენი მოვალეობაა მომავალ თაობას ჩავაბაროთ ისეთივე „მრგვალი მაგიდა", ცუდია თუ კარგია, ეს სხვა საკითხია; მე ვუყურებ ეროვნულ პარტიებს — ხან ერთს მიეტმასნებიან, ხან მეორეს, ხან მესამეს, ხან შედიან, ხან გამოდიან ერთმანეთიდან და არ უკეთებენ ანალიზს, არავითარი პასუხისმგებლობა არა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, თვითონ არა აქვთ არჩეული რა სურთ. ჩვენ ახლა ვმუშაობთ იმაზე, როგორ უნდა შეიქმნას ჩვენი დეპუტატთა კორპუსი, რაც უნდა მომზადდეს ერთად პროგრამით, სემინარებით და ა. შ. ვთქვათ, ეს მომზადებული დეპუტატთა კორპუსი ეკონომიკის, სამართლის, იდეოლოგიის საკითხებით, რომელზეც 200-იოდე კაცმა იმუშავა, ერთიანდება ისეთ პარტიასთან, რომელსაც მიაჩნია, რომ დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას ყველა კაი ბიჭი, ჰოდა, ერთად ხომ უნდა ჩამოყალიბდეს დეპუტატთა კორპუსი, წარმოიდგინეთ რა ამბავი ატყდება, — იქნება გაუთავებელი ჩხუბი, რადგან ერთი ჯგუფი მომზადებული იქნება, მეორე კი — როგორც კარგი ბიჭი. აქ მოხდება დიდი არეულობა, იქნება აბსოლუტური შეუთავსებლობა.

დეპუტატთა ის კორპუსი, რომელიც „მრგვალმა მაგიდამ" უზენაეს საბჭოში შეიყვანა 1990 წელს, იქიდან მესამედი თუ დარჩა. მაშინ არჩევანის საშუალება არ იყო, დღეს კი თუ ამ საკითხს არ გადავხედეთ, აქ ლაპარაკი კი აღარ არის დამოუკიდებლობის მოპოვებაზე, რომელიც ზვიად გამსახურდიამ მოიპოვა, ესენი კი ანგრევენ ამ დამოუკიდებლობას, მაგრამ ჯერ ვერაფერი მოუხერხეს მაინც, — სხვა ნაბიჯებია გადასადგმელი, რომელსაც პროფესიონალიზმის გარეშე ვერ გადავდგამთ. ვინც ჩვენ გვაყვედრიდა, ვერსად ვერავისთან ვერ გაერთიანდა, ვერც გაერთიანდება. ვინც კარგად იცის კანონები, იმას შეუძლია გაერთიანება. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვინდა ეროვნული ძალების გაერთიანება, მაგრამ არა თავმოყრა, არამედ გაერთიანება, რომელსაც მნიშვნელოვანი მუშაობა უნდა უძღოდეს, რათა მერე შიგნით არ მოხდეს აფეთქება.

**— მაშ, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ხალხს რომ გაერთიანებისაკენ მოუწოდებდნენ, ცდებოდნენ?**

— მე არ მითქვამს, რომ ხალხის გაერთიანების წინააღმდეგი ვართ. პოლიტიკური პარტიების გაერთიანების წინააღმდეგი ვართ და არა ხალხისა. ზვიადმა, როდესაც პოლიტიკურ პარტიებს გაერთიანება მოუწოდა, არ მოუწოდებია კომუნისტებისათვის, არ მოუწოდებია „დემოკრატიული საქართველო" ბლოკისათვის, რომელიც კონგრესში შედიოდა...

**— არა, ასეთი პარტიები არც მე მიგულისხმია. ახლა კი გთხოვთ მიპასუხოთ, რას ფიქრობთ მანანა არჩვაძის „მრგვალ მაგიდაზე"?**

— ზვიად გამსახურდიამ საქართველოში ერთი „მრგვალი მაგიდა" დატოვა, ეს არის „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო", სხვა არ დაუტოვებია, ამ ორგანიზაციის სპიკერი 1993 წლის ბოლომდე თვითონ იყო, ვიცე-სპიკერი კი თენგიზ კიკაჩეიშვილი იყო. მანანა არჩვაძის „მრგვალი მაგიდა" შეიქმნა 1997 წლის 10 ივლისს, რომელსაც „მრგვალ მაგიდასთან" საერთო არაფერი აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. „მრგვალი მაგიდა" ოჯახური მემკვიდრეობით კი არა, წესდებითა და კანონიერი მემკვიდრეობით გადადის. ცუდია თუ კარგია „მრგვალი მაგიდა" ეს არის, რომელიც შექმნა ზვიადმა და რომელმაც გაიმარჯვა არჩევნებში. ხოლო 1997 წლის 10 ივლისს შექმნილი „მრგვალი მაგიდის" სპიკერი ზვიად გამსახურდია არ ყოფილა. ეს არის, როგორც პარალელური სტრუქტურა, რომელიც მოწოდებულია „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს არ არის არც პირველი და არც მეორე მაგალითი პარალელური სტრუქტურის შექმნისა. უზენაეს საბჭოს, მაგალითად, კონგრესი ჰყავდა პარალელურ სტრუქტურად, სახალხო ფრონტებს ჰყავდათ ინტერფრონტები და ასეთივეა ესეც, იმავე ამოცანას ასრულებს.

**— ბატონო ვახტანგ! თქვენ ლამის მოღალატეებად შერაცხავდით იმ პარტიებს, ვინც არჩევნებში მონაწილეობა არჩია. ბოიკოტიდან როგორ მიხვედით არჩევნებში მონაწილეობამდე?**

— ამ არჩევნებს დღესაც უკანონოს ვუწოდებთ, მაგრამ ვიყენებთ როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას, მაგრამ თუ საქართველოს პარლამენტი ჩვენს მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს შეასრულებს, თუ არა და, ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას, მონაწილეობას მივიღებთ — უზენაესი საბჭოს არჩევნებში, რის შემდეგაც მოხდება ხელისუფლების რესტავრაცია. ბოიკოტი ჩვენს წინააღმდეგ სულაც არ არის მიმართული, — ახლა რომ არჩევნები დაინიშნოს და ხალხი არ მივიდეს, ის ჩვენს სასარგებლოდ იქნება, ჩვენი გამარჯვება იქნება, რადგან ამ ხელისუფლებისადმი ბოიკოტი ჩვენი დამარცხება არ არის. ძალადობით ხელისუფლება ვერ აირჩევა და დაინიშნება არა ერთხელ, არამედ ვერასოდეს. ჩვენ ჩვენი პრინციპებისათვის არ გვიღალატია, უბრალოდ, ჩვენ ამ უკანონო არჩევნებს გამოვიყენებთ, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## უკრაინის პრეზიდენტი ყირიმელი თათრებისათვის ხმის უფლების მიცემის მომხრეა

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უკრაინისა და ყირიმის საპარლამენტო არჩევნებში და აგრეთვე მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში ყირიმში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა მონაწილეობა შესთავაზა.

რეგიონალური პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას პრეზიდენტმა კუჩმამ აღნიშნა, რომ თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულ 20 ყირიმელ თათარს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს მოქალაქეობის არქონამ ხმის უფლება არ უნდა წაართვას. კუჩმა იმედოვნებს, რომ 24 მარტს უკრაინის უმაღლესი საბჭო მის წინადადებას მიიღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხმა ხალხიდან

# ზვიადიზმი თუ უქართველებო საქართველო?

ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთ „ახალ თაობაში" დაიბეჭდა გერმანიაში საქართველოს ელჩის ბ-ნ კოტე გაბაშვილის ვრცელი ინტერვიუ, რომელიც ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ თუ გვინდა საქართველომ მართლაც იარსებოს, აუცილებელია ყველაფერზე მაღლა ქვეყნის გადარჩენის ინტერესები დავაყენოთ, ერთმანეთის შეჭმას თავი დავანებოთ და, რარიგ მტკივნეულიც არ უნდა იყოს, უნდა გვეყოს გამბედაობა, თუ გნებავთ ვაჟკაცობაც და დღესვე, სწორედ დღესვე, ობიექტურად შევაფასოთ 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალება; ვის რა წვლილი მიუძღვის მასში.

გადატრიალებაც არის და გადატრიალებაც. ბოლოს და ბოლოს, რაღა ეშველება იმ ფაქტს, რომ მოხდა კანონსაწინააღმდეგო გადატრიალება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ გადატრიალებიდან, რომელიც თითქოს „სასიკეთო მიზნებს" ისახავდა, უკვე ექვსი წელი გავიდა და ქვეყანა სულ უფრო უკან და უკან მიექანება და თუ ასე გაგრძელდა, მთელი საქართველო მალე „ბიძია თომასა და მისი ქოხის" მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ამის დასტურია ბ-ნი ელჩის უპასუხისმგებლო და ჰაი-ჰარა შეფასებანი.

მაგალითად, გადატრიალებანი თავის დროზე ესპანეთსა და ჩილეშიც მოხდა, მაგრამ ფრანკომ და პინოჩეტმა, სისხლის დაღვრის მიუხედავად, აყვავებული ქვეყნები დასტოვეს. ჩვენთან კი... მასობრივი მათხოვრობა, მასობრივი სიკვდილიანობა, სნეულებანი, ეკონომიკური კრიზისი და არსაით იმედის ნაპერწკალი.

ეს არცაა გასაკვირი ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ამ ინტერვიუს ფონზე.

ბ-ნი ელჩი ისე გულს გარეთ ლაპარაკობს უახლოესი პერიოდის მოვლენებზე, თითქოს საქმე სხვა რომელიღაცა ქვეყანას ეხებოდეს.

ამ შემთხვევაში ჩვენ ბ-ნი ელჩის მხოლოდ ერთ გამონათქვამზე გავამახვილებთ ყურადღებას — „ზვიადიზმი ქართული ფაშიზმია და უნდა ამოიძირკვოს, დაიგმოსო".

ბოლოს და ბოლოს, რა არის ზვიადიზმი?

მოდით, ჩვენც, რაკი უნდათ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ზვიადიზმი დავარქვათ.

თუ ბოლო ათეულ წლებში განვითარებულ მოვლენებს გადავხედავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ზვიადიზმი ეს არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მიზანი იყო და არის ბრძოლა საქართველოს განთავისუფლების, ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის. ქართული ენისა და ქართული ეკლესიის დაცვისა და სიწმინდისათვის და ა. შ.

ზვიადიზმი თავის დროზე დაუპირისპირდა და დღესაც უპირისპირდება იმპერიის ბოროტ ჩანაფიქრს — საფუძვლიანად დამუშავებულ გეგმას „უქართველო საქართველოს" შესახებ ანუ „საქართველო ქართველების გარეშე".

აქედან გამომდინარე, ვინც ზვიადიზმს, ე. ი. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ქართულ ფაშიზმად ნათლავს და მის ამოძირკვას მოითხოვს, იგი, გინდა თუ არა, „უქართველო საქართველოს" გეგმის შემსრულებელთა რიგებში უნდა ვიგულოთ.

ბ-ნი ელჩი ამბობს: „გახსოვთ ალბათ, იდეოლოგია — საქართველო — ქართველებისთვისო", მაგრამ არაფერს ამბობს შორსმიმავალი „უქართველო საქართველოს" გეგმის შესახებ, რომელსაც აგერ გასულ წელს „ნეზავისიმაია გაზეტამ" ორი ფართომასშტაბიანი გამოსვლა მიუძღვნა და რომელსაც ფესვები შორს და მყარად აქვს გადგმული.

გავიხსენოთ ჯერ კიდევ „ხალხისათვის თავდადებული რევოლუციონერების" დეკაბრისტების პრინციპული დებულებანი: „საქართველო ქართველების გარეშე" და „კავკასია კავკასიელების გარეშე", რომელთა ხორცშესხმას ორი საუკუნე ახორციელებს რუსეთი და საქართველოში ლამის კიდევაც მიაღწია საწადელს.

დევიზი თუ პროგრამა „საქართველო ქართველების გარეშე" იყო არა მარტო დეკაბრისტების პრინციპი, არამედ რომანოვებისა და ლენინის რუსეთისაც და დღესაც ელცინის „დემოკრატიული" რუსეთის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია საქართველოსთან ურთიერთობაში.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვდაობთ,



რომ ზვიადიზმს, როგორც ყველა იდეოლოგიას, მიმდინარეობას თუ თეორიას, ჰქონდა და აქვს თავისი ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეები, რომლის გამოსწორებაც სასურველი და აუცილებელია, მაგრამ ზვიადიზმის ამოძირკვის მოთხოვნა ხომ „უქართველო საქართველოს" ტრიუმფია?

ბოლოს და ბოლოს, თუ უფრო შორს წავალთ, ზვიადიზმი ზოგადი გაგებით ეს საქართველოს მთელი ისტორიის ანი და ჰოე იყო, რადგან საქართველოს გამოჩენილი შვილები მთელი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იბრძოდნენ ქვეყნის ერთიანობისათვის, ქართული ენის დაცვისა და ქართული ეკლესიის სიწმინდისათვის.

ბ-ნი ელჩის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, მაშინ ფაშისტებად უნდა ჩავთვალოთ ლეგენდარული კოლხეთის მეფე აიეტი — პირველი ქართული სახელმწიფოს პირველი მეფე (მართალია, ჯერ კიდევ მითიური); ფარნავაზი, რომელმაც ასევე გააერთიანა საქართველო და „შექმნა მწიგნობრობა ქართული"; პირწავარდნილ ფაშისტებად უნდა მივიჩნიოთ ბაგრატ III და დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ილია და თერგდალეულები, 1921 და 1924 წლების გმირები, 1942 წლის შეთქმულნი (კოტე ხიმშიაშვილის ჯგუფი) და ა. შ.

და აი, ასე, საქართველოს მთელი ისტორია ფაშიზმის ისტორიად უნდა გამოვაცხადოთ, რადგან ეს პატარა ერი იბრძოდა და ცდილობდა გადარჩენოდა ისტორიის კატაკლიზმებს და თავი დაეცვა ათასგვარი მომხდურისაგან.

ახლა ყველაფერი შორიდან ადვილი ჩანს, მაგრამ ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომელნიც კომუნისტურ ბნელეთში, ათეული წლების მანძილზე იატაკქვეშ უშვებდნენ ჟურნალებსა და გაზეთებს და ეწეოდნენ ხალხის გამოფხიზლებას, რისთვისაც ციხეებსა თუ გადასახლებას იმსახურებდნენ.

ახლა ლანძღვაც ადვილია და იმის თქმაც, რომ კომუნისტური იმპერია თავისით დაიშალაო, მაგრამ თავისთავად არაფერი ხდება, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამერიკამ ათეულობით ტრილიონი დოლარი მოახმარა ჯერ კიდევ დალესის მიერ 50-იან წლებში შემუშავებული საბჭოთა იმპერიის დაშლის გეგმის განხორციელებას, რომელშიაც დისიდენტებმა, მათ შორის ზვიად გამსახურდიამ და მისმა ქართველმა თანამებრძოლებმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს.

უეჭველია, მომავალი თავისას იტყვის და ყველას თავის შესაფერის განაჩენს გამოუტანს, მაგრამ სანამ ჩვენ ისტორიის კუთვნილება გავხდებოდეთ, უფრო მეტი დაფიქრება გვმართებს, რომ წინაპართა ათეული თაობების მიერ აქამდე მოტანილი საქართველო ისტორიის სასაფლაოზე არ აღმოჩნდეს.

ვინც ისტორიაში ოდნავ მაინც ჩახედულია და კომუნისტთა დოგმებს იცნობს, დამეთანხმება, რომ ქართველ პროლეტარებსა და კომუნისტებს არ ჰქონდათ სამშობლო და ისინი ასე ვთქვათ, „ზოგადსაკაცობრიო იდეებზე" უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე საკუთარ ქვეყანაზე.

თუ ქართველ პროლეტარებსა და კომუნისტებს სამშობლო არ ჰქონდათ, მაშინ რატომ მოხდა, რომ იგივე მარქს-ლენინის ერთგულმა რუსებმა ქართველ პროლეტართა და კომუნისტთა ქვეყანას კარგა გვარიანი ნაჭერი — ადლერ-სოჭი-ტუაფსეს რეგიონი ჩამოათალეს და თავისთვის მიითვალეს; ასევე თითო კარგი ნაჭერი აზერბაიჯანსა და სომხეთს უწილადეს, ხოლო მესამედი საქართველო კი თურქეთს უფეშქაშეს; დღეს კი „დემოკრატიულმა" რუსეთმა დარჩენილი საქართველოს ერთი მესამედიც თითქოს სხვისთვის, სინამდვილეში კი თავისთვის მიითალა და მიითვალა.

ნუთუ ამან არ უნდა დააფიქროს ბ-ნი ელჩი და მისი თანამოაზრენი?

გერმანოფილი ვარო, ბრძანებს ბ-ნი ელჩი; არც ჩვენ ვართ გერმანოფობი და უაღრესად დიდ პატივს ვცემთ გოეთეს, შილერის, ჰეგელის, მარქსისა და სხვა გენიოსთა მშობელ ხალხს, მაგრამ რატომ გვავიწყდება, რისთვის გააჩაღა მე-20 საუკუნეში ამ ჭკვიანმა და შრომისმოყვარე ერმა ორი მასშტაბური მსოფლიო სისხლისღვრა? რასაკვირველია, თავისი საზღვრების გაფართოებისათვის.

ჩვენ კი, ქართველები, რომელთაც ამდენი გვიბრძოლია, გვიშრომია და გვიწვალია, ნუთუ იმის ღირსიც არა ვართ, რომ შავსა და კასპიის ზღვებს შორის ორიოდე ქართული რეგიონი მაინც შევინარჩუნოთ, რათა მსოფლიოს წარმოდგენა ჰქონდეს ვინ ან რანი ვიყავით ქართველები; თუ ბ-ნი ელჩისათვის სულ ერთია, ვისი ელჩი იქნება? აი, ისე როგორც ავადხსენებული ნიკიტა ხრუშჩოვი ეუბნებოდა ვასილ მჟავანაძეს: „რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, ქართველებს ციმბირში გადავასახლებ, თუ კამჩატკაზე, იქაც ცეკას პირველი მდივანი იქნებიო".

**ზვიად ქართველიშვილი**

## სენსაცია

# მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?..

მე-3 გვერდიდან

ნორმანებმა ხარკი დააკისრეს ყველა სამხრეთ და დასავლეთ ტომს, მაგრამ დამორჩილება ამ ხალხებისა ვერ შეძლეს. სვიატოსლავის სიკვდილის შემდეგ ამ უზარმაზარ ტერიტორიათა მცხოვრებლებმა გააძლიერეს ბრძოლა დამპყრობლებთან და საბოლოო ჯამში მიაღწიეს საწადელს.

თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა როსთა თანდათანობითი ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან (ძირითადად თურქებთან და ნაწილობრივ სლავებთან). ამ დროისათვის XII ს. სკანდინავიამ პრაქტიკულად ამოწურა თავისი ადამიანთა რესურსები (людские ресурси). ევროპაში, ისევე, როგორც დნეპრსა და ვოლხოვზე, ნორმანთა უმრავლესობა დამკვიდრდა დაპყრობილ ტერიტორიებზე და შექმნა იქ თავისი სახელმწიფოები.

მაგრამ ნორმანთა ევროპული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, როსები გამუდმებით განიცდიდნენ ძლიერ ზეწოლას აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. ისინი გამოიფიტნენ ამ ბრძოლებში. ამ სამთავროთა ძირითად მოსახლეობად თანდათან ყივჩაღები იქცნენ. აბორიგენთა ზეწოლის შესუსტების მიზნით რუსი მთავრები ქორწინდებოდნენ ხანების ქალიშვილებზე და რაც უფრო შორდებოდნენ რუსები რიურიკის დროს, მით მეტად კარგავდნენ კავშირს თავიანთ ძველ სამშობლოსთან და ფაქტობრივად ეთნიკურ სტეპელებად (степняк-ებად) იქცეოდნენ. უწინ ნორმანთა სამკვიდრებელი — ქალაქები ცარიელდებოდა და თურქებით სახლდებოდა. **Речная полоса по среднему Днепру с притоками, издавна так хорошо заселенная, с этого времени пустеет, население ее исчезает куда-то** — აღნიშნავს კლუჩევსკი.

სვიატოსლავ ოლეგის ძის მიერ უფროსი ძისადმი, იზიასლავისადმი მიწერილი წერილი (1159წ.) წარმოგვიდგენს რუსეთის აღსასრულის მწუხარე სურათს: **Взял я город Чернигов с семью другими городами, да и то пустыми: живут в них исари да половцы.**

ე. ი. ნორმანულ სამთავროთა მოსახლეობა უკვე აბორიგენული გახდა. XII ს-ში დაწყებული დნეპრის რუსეთის დაცარიელება XIII ს-ის მონღოლთა შემოსევით დასრულდა.

კაცმა რომ თქვას, ამით მთავრდება რუსეთის ისტორია და იწყება ისტორია სულ სხვა სახელმწიფოსი, რომელმაც მიითვისა ეს ძველი სკანდინავიური სახელი.

**ვლადიმერ ხვედელიძე**

/გაგრძელება იქნება/

### გოჩა გელაშვილმა ექიმის ცნობა წარმოადგინა

ჯაბა იოსელიანის, თემურ ხაჩიშვილის და სხვა განსასჯელთა სასამართლო პროცესზე გრძელდება ყოფილი მხედრიონელის გოჩა გელაშვილის დაკითხვა. დაკითხვა იგივე სცენარით მიმდინარეობს, რომლითაც სხვა განსასჯელთა დაკითხვა მიმდინარეობდა. გოჩა გელაშვილი ბრალდებებს უარყოფს. მისი განმარტებით, ყველა ჩვენება მიღებულია ცემითა და წამებით.

გოჩა გელაშვილის ინტერესების დამცველმა ანზორ ზაალიშვილმა წარმოადგინა გოჩა გელაშვილის სამედიცინო ანკეტა და განაცხადა, რომ ამ ანკეტის შესაბამისად შს მინისტრის მოადგილის გია გულუას მკვლელობის დროს მისი დაცვის ქვეშ მყოფი საავადმყოფოში მკურნალობდა რადიკულიტს.

## ახალი ამბები

### ჯაბა მეხუთე იზოლატორში კითხულობს და მუშაობს, საავადმყოფოში კი მნახველები არ მოასვენებენ

„მხედრიონის ყოფილი ლიდერის, ჯაბა იოსელიანის საქმე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უნდა გამოიყოს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში დადანაშაულებული დანარჩენი 14 განსასჯელის საქმისგან" - ასე თვლის იოსელიანის საზოგადოებრივი დამცველი გელა ნიკოლაიშვილი.

მისი ინფორმაციით, კუჭის წყლულმა იმოქმედა ჯაბა იოსელიანის გულსა და ნწევაზე. ყოველდღიურად პროცესის დაწყების წინ იოსელიანს მეხუთე იზოლატორში ექიმები სინჯავენ.

როგორც იოსელიანმა ნიკოლაიშვილს უთხრა, „თვითონ ის მაინცდამაინც არ მიისწრაფის ციხის საავადმყოფოში", რადგან, იოსელიანის თქმით, მეხუთე იზოლატორში მას თავისუფლად შეუძლია კითხვა და მუშაობა, ხოლო თუ მას საავადმყოფოში გადაიყვანენ, მნახველები მას ამის საშუალებას არ მისცემენ.

„მაგრამ საავადმყოფოში ყოფნას თავისი პლიუსებიც აქვს: იქ მეტი ჰაერია, ვიდრე მეხუთე იზოლატორის კამერაში" - უთხრა იოსელიანმა ნიკოლაიშვილს.

როგორც ნიკოლაიშვილს იოსელიანის მკურნალმა ექიმმა აცნობა, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ჯაბა იოსელიანი თავს ნორმალურად გრძნობს, ნებისმიერ დროს მისი მდგომარეობა შესაძლოა გაუარესდეს.

# ვახტანგ ცაგარეიშვილი:

## არჩევნებს ვიყენებთ, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას

მე-4 გვერდიდან

**— ე. ი. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ზვიადის გზიდან არ გადაგიხვევიათ?**

— 1990 წლის დეკლარაციაში იყო გამოხატული ორი გზა: არჩევნებისა და ეროვნული დაუმორჩილებლობისა. იქ კატეგორიულად არჩევნების გზა იყო მითითებული და აღნიშნული იყო, რომ ეროვნული დაუმორჩილებლობით მიზნის მიღწევა შეუძლებელია. ჩვენ სწორედ ამ გზას ვიყენებთ, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას. ზვიადის გზიდან გადახვევა არ ყოფილა, ეს ვიღაცეების მოგონილია. ისინი გვაბრალებენ, თითქოს აქციებს არ ვატარებდეთ, მაგრამ ჩვენ რომ აქციებს ვატარებთ 1992 წლიდან, იმდენი არავის გაუკეთებია. ჩვენ შესაძლებელს ხომ ვაკეთებთ და ვაკეთებთ, ხანდახან შეუძლებელსაც კი ვაღწევთ.

**— თქვენ ვიღაც-ვიღაცეები ახსენეთ. ისინი იმასაც გაბრალებენ, რომ თქვენ არ შეგეხოთ შევარდნაძის რეპრესიები. ხომ ცნობილია, რომ მათ უამრავი თანამშრომელი დაითხოვეს უნივერსიტეტიდან, მაგრამ არ შეგხებიან თქვენ და კიკაჩეიშვილს, ეს კი „ვიღაც-ვიღაცეებში" რაღაცა ეჭვებს ბადებს.**

— მე რეპრესიები შემეხო. 1992 წლის ივნისიდან 1 იანვრამდე ხელფასი არ მიმიღია, ხელფასის მოუცემლობით ვითომ მომხსნეს. დაარღვიეს კანონი, მაგრამ შემდეგ აღმადგინეს. მეორეც, მე 1996 წლიდან უნივერსიტეტში აღარ ვმუშაობ. საერთოდ, რეპრესიები იმათ მიმართ განხორციელდა, ვინც ვითომ რაღაცას აშავებდა, რაღაცის მოძებნა შეძლეს. ისე კი ახლაც მუშაობენ ჩვენიანები. მაგ: შალვა აბზიანიძე, ზურაბ ძოწენიძე...

**— თქვენ და კიკაჩეიშვილი ქუთხხართ და ეს კითხვებიც ალბათ, იმიტომ იბადება...**

— როგორც გითხარით, ყველას მიმართ ვერ ხორციელდება რეპრესიები.

**— ბოლოს და ბოლოს, საქართველო გაიმარჯვებს თუ არა და იქნება თუ არა ნამდვილად დამოუკიდებელი და თავისუფალი?**

— რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სიძნელეები, არსებობს პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც ყველაფერი გათვლილი აქვს, კერძოდ, როგორ გამოიყვანოს ქვეყანა და ერი ამ მდგომარეობიდან. სირთულე ის არის, რომ მოსახლეობა ვერ ერკვევა ბევრ რამეში, კერძოდ, ვინ რას წყვეტს. ხანდახან არა მცირე ჯგუფიც კი ისეთ დამღუპველ რაღაცას მოიგონებს, ერთს არ დაფიქრდება, რომ დამღუპველ საქმეს სჩადის. მაგალითად, თენგიზ კიტოვანი, რომელმაც თავის თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მაგრამ ის მარტო როდია... ერთი კია, მთელი პროცესები ისე მიდის, რომ გამარჯვება გარდუვალია და დაგვავიწყდება კიდეც ყველაფერი, რაც გადავიტანეთ. მხოლოდ დიდი, დიდი მუშაობაა საჭირო, პროფესიონალიზმია საჭირო. სადაც ამდენი დარღვევაა ადამიანის უფლებისა, გამორიცხულია, იქ რაიმე წესრიგში იყოს, მაგრამ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. საშინელებაა ეკლესიებშიც. ხანდახან, დახურული ეკლესია სჯობს ღიას, იმდენი რამ არის დაგროვილი — ცოდვები, უწმინდურობა...

**— მგონი, რუის-ურბნისის კრების ჩატარებაა საჭირო?**

— ეს თავისთავად. მართლაც, ამ კრებამ უდიდესი ძალა მისცა საქართველოს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, დიახ, საჭიროა, ოღონდ შედეგი უნდა იყოს და არა მხოლოდ — კრება.

ესაუბრა
**ლელა ბაჩლელი**

# რეპორტაჟი არასრულწლოვანთა კოლონიიდან

## ანუ „ჯიბგირი“ ინტერვიუს იძლევა

*დასასრული. დასაწყისი იხილეთ „საქართველო“ №19*

### შვიდი წელი ერთდოლარიანისთვის

გავესაუბრე ძმებს კავთუაშვილებს — თექვსმეტი წლის დათოს და ჩვიდმეტი წლის ზურას.

— **დათო, როგორ მოხვდი ციხეში?**

— ვცემე და სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

— **ვის ცემე და რატომ?**

— ქალს. მხოლოდ ერთდოლარიანი აღმოჩნდა და წავართვი...

— **მარტომ ჩაიდინე ეს?**

— არა, პადელნიკიც მყავდა, რენო მუჯირი. შვიდი წელი მომისაჯეს. ზონაში „ბულდოგას“ მეძახიან.

— **რომელ რაიონში ცხოვრობ?**

— საბურთალო. მყავს დედ-მამა და ზურას გარდა, კიდევ ერთი ძმა.

— **შენი ძმა რაზე ზის?**

— ზურა? ქურდობაზე.

გული დამეწვა... მართალია, მშობლებს სადავეები ხელიდან გაუცურდათ, მაგრამ როგორ შეიძლება არ ვუსაყვედურო საბურთალოს რაიონის საგამოძიებო განყოფილებას ან სასამართლოს, არასრულწლოვანს მხოლოდ ერთდოლარიანისათვის შვიდ წელს რომ უსჯის. ამით ხომ ამახინჯებს მის სულს, გონებას, მომავალს.

— მე ფაჩუაშვილი ზაზა ვარ, საბურთალოელი, — მითხრა იქვე მდგომმა ტანაყრილმა საოცრად სასიამოვნო გარეგნობის, თხუთმეტიოდე წლის ბიჭუნამ.

— **შენ რა ეშმაკობა ჩაიდინე, ზაზა?**

— მაგნიტოფონი მოვიპარე. დანით შევაშინე მძღოლი, სამი წელი მომისაჯეს. რვა თვეა ვზივარ.

— **როგორ გექცევიან?**

— მშვენივრად. ცემა-ტყეპა არ არის. აქ ხშირად გვაქვს ეკლესიური და სადღესასწაულო დღეები, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ თავისუფლება ყველაზე ძვირფასი და სანატრელია.

— **სწავლის საქმე როგორ მიდის?**

— მეშვიდეში ვარ. ფიზიკა მიყვარს და მასწავლებელიც — მიხეილ ჯაყელი. სპორტიც მიყვარს, ხშირად ვვარჯიშობ.

— **რას გაჭმევენ?**

— არის თევზი, ხორცი, კარტოფილი. საუზმეს და ვახშამს ბრინჯით გადავდივართ.

— **შუქი თუ გაქვთ, ან გათბობა?**

— კი!

— **შენ რა გვარის ხარ, ვაჟკაც!** — მივეფერე სანდომიანი სახის ახალგაზრდას.

— გოლეთიანი ელიზბარი. ბოლნისელი ვარ. მამა არა მყავს, ვარ ჩვიდმეტი წლის. გამასამართლეს 252-ე მუხლის მეორე ნაწილით.

— **ნარკოტიკული ნივთიერების ხმარება?**

— დიახ. ერთი წელი მომისაჯეს. დედა მაკითხავს მხოლოდ.

— ახლა რომ მოგცენ მარიხუანა, მოწევ? შევატყვე თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და პასუხი არ გამცა.

— **თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

— კოლონიის ეზოში ეკლესია გვაქვს და ვლოცულობ...

— **რაზე?**

— ცოდვებს ვინანიებ, ღმერთის მწამს და მეშინია კიდეც.

— **ერთმა ახსენა, რომ ზონაში ლიდერი გყოლიათ, მართალია? შენ ვინ მიგაჩნია გავლენიან პირად ამ „სამეფოში“?**

— ბიბილეიშვილი ვლადიმერი, დევდარიანი ალეკო და აბრამიშვილი გიორგი. ისინი ზონას უყურებენ.

— **რას ნიშნავს „უყურებენ“? დარაჯობენ?**

ამ კითხვაზე გაოცებით შემომხედა და საჭიროდ არ ჩათვალა პასუხი გაეცა ჩემთვის, ალბათ სულელედაც ჩამთვალა, ზონის ჟარგონები, რომ არ „მესმოდა“.

### სამი წელი ხუთი მაწვნის ქილისთვის

გავესაუბრე თვალებჟუჟუნა მოზარდს, რომელმაც თავაზიანად შემომხედა და როცა ვთხოვე, წყალიც მომაწოდა.

— **რა გვარისა ხარ, შვილო?**

— ჩუბინიძე ნიკო.

— **რომელია შენი მშობლიური ქალაქი?**

— გურჯაანი.

— **მშობლები გყავს?**

— მხოლოდ დედა. არ მნახულობს.

— **რამდენი გაქვს? რა ჩაიდინე?**

— სამი. ხუთი ცალი ცარიელი მაწვნის ქილა მოვიპარე და გავყიდე. ძალიან მიჭირდა, მშიოდა და პურის ფული მინდოდა.

გული დამეწვა. ბოლმა მახრჩობდა. თვალები ცრემლებით ამევსო. ლამის გონება დავკარგე. ძალის მოსაკრეფად, წყალი ისევ მოვსვი. ნეტავ, რას ფიქრობდა გურჯაანის სასამართლო მაშინ, როცა ამ ბავშვს უსჯიდა? სად არის სამართალი?

### ჩემისთანა ქურდი ჯობია ახლანდელ ჰალსტუხიანებს

გავესაუბრე მსჯავრდადებულთა მიერ ზონის აღიარებულ ლიდერებს: ალეკო დევდარიანს, ზედმეტსახელად „სვანოს“, რომელსაც ბინის ქურდობისათვის მისჯილი ჰქონდა ხუთი წელი. ჰყავს მშობლები და და-ძმა. უცხოვრია გარდაბანში. სკოლაში არ დადის, ჩვიდმეტისაა; ვლადიმერ ბიბილეიშვილს, მეტსახელად „გიგა“, რომელიც ჩვიდმეტისაა და უკვე „მოასწრო“ ქურდობისათვის გაესამართლებინათ და ორი წელი მიესაჯათ. თბილისელია და რაც ყველაზე გულსაკლავია, არის დედისერთა.

მათ, თავიანთი გეგმაც კი, მაჩვენეს. გაკეთებული აქვთ სასჯელთა აღმასრულებელი დაწესებულების მსჯავრდადებულთა საკრებულო, რომელიც შედგება რაზმეულის საკრებულოსაგან, ხოლო ეს საკრებულო იყოფა ოთხ ნაწილად: ეთიკური აღზრდა, სინდისის სამსჯავრო, საბიბლიოთეკო ჯგუფი, ფიზკულტურა და სპორტი.

— **ზონას უყურებ? თანატოლები თუ გიჯერებენ? რისკენ მოუწოდებ მათ? — ვკითხე ალეკო დევდარიანს.**

— მიჯერებენ. ვურჩევ შეცვალონ ცხოვრების წესი.

— **შენც ხომ ქურდობდი? რას ფიქრობ?**

— ჩემისთანა ქურდი არ ჯობია, ახლანდელ ჰალსტუხიან და დიპლომატიან ქურდებს?

— **შენი მეგობარი, გურამ ლეგინიაშვილი, რომ „გაუბახტშია“, რატომ? რა დააშავა? ვერ მოახდინე მასზე ზეგავლენა?**

— ახალია, თან რუსისელი. ჯერ ვერ შეეჩვია ზონის ცხოვრებას.

— **რაზე ზის?**

— ავტომანქანის გატაცება.

— **„გაუბახტისათვის“ მაინც ცოდვაა. ვთხოვ უფროსობას, გამოუშვან.**

— გმადლობთ. — სახე გაებადრა ლიდერს.

მჟავე ხასიათით დავტოვე ყაზარმა. ბიჭები, რომლებიც გულახდილად მეჭიკჭიკებოდნენ, ძალიან შემენანა.

როლანდ ბენდიაშვილი სკოლისკენ მიმაცილებდა. გზად, დავათვალიერე ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნები. საჭიდაო მოედანიც ჰქონიათ. საცურაო აუზი, მკლავჭიდის მაგიდა, რგოლები, ორძელი, ჭადრაკი, შაში და რაც მთავარია, საცურაო აუზი. „აქაურ პირობებზე არც მე ვიტყოდი უარს. გარეთ უარესი ცხოვრებაა“. — გამწკეპლა ფიქრმა.

— ამას გარდა, გვაქვს აბაზანები ცხელი წყლით, რომელსაც ახლავე იხილავთ, — დროულად დაამთავრა ჩემი ფიქრები ბატონმა როლანდმა.

სკოლის ეზოში შევედით. ოცდამეცხრამეტე საშუალო სკოლა სალამო სკოლა გახლდათ, რომლის დირექტორი, ბატონი არჩილ ბერიძეა. ეს სკოლა, არაფრით ჩამოუვარდება ქალაქის პრესტიჟულ სკოლებს. არის ცალ-ცალკე კლასკაბინეტები. კოლექტივი ცხრა პედაგოგისაგან შედგება. მათმა გამორჩეულად და დადებითად დაახასიათა მსჯავრდადებული მოსწავლეები: ნერგაძე ზურა, ჩეჩელაშვილი ანდრო, ჩუბინიძე ნიკო, დოლიძე ვახტანგი და მრავალი სხვაც. ქუთაისელმა, გვარად ხრუშჩოვმა, აქ ისწავლა ქართულად წერა-კითხვა. მაგრამ მასწავლებლები [illegible] დურობენ იმ სკოლებს, [illegible] ბავშვები ასეთი ცოდნით [illegible]ვა. თურმე მერვე კლასის ბავშვს მეოთხე კლასის განათლებაც არა აქვს.

მოკრძალებით დავშორდი პედაგოგებს. ისინი ორმაგად ამაღლდნენ ჩემს თვალში, რამეთუ თავისებური მიდგომა სჭირდებათ, მსჯავრდადებულ მოსწავლეებს. ისინი მკვეთრადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.



### ნაირ-ნაირი ამბები

ბატონი როლანდი ნაირ-ნაირ ამბებს მიყვებოდა მათზე.

— ჩვენგან, ახლახან გავიდა საგარეჯოელი, გოგიშვილი „გოჭო“. თხუთმეტი წლის „გოჭო“ ორმოცი წლის იურისტმა ქალმა კარგად გამოათრო და მერე მასთან დაწოლა მოინდომა, გოჭოც აყვა და ... ამის შემდეგ ქალმა მას რამდენიმე ათასი მოთხოვა ლოგინის საზღაურად. გოჭო გაბრაზდა და სცემა ქალს, რისთვისაც ხუთი წელი მიუსაჯეს. ამას გარდა საწყალ „გოჭოს“ იმ მეძავმა ვენერიული ავადმყოფობაც დამართა. გაზეთის საშუალებით მაინც ვკითხოთ, საგარეჯოს სასამართლოს, გოჭოსათვის უნდა მიესაჯათ გაუპატიურების მუხლით, თუ იმ მეძავისთვის ამორალური საქციელისათვის?

თხუთმეტი წლის ანდრეი კარნეევი ქურდობისათვის მეორეჯერ ჩასვეს და წელიწადნახევარი მიუსაჯეს. ქალაქ ნოვოროსიისკის მოქალაქეა. დროზე ადრე გავუშვით. რუსეთის საელჩომ არ მიიღო და ახლა ჩვენი ხარჯებით უნდა გავამგზავროთ თავის ქვეყანაში.

კოლონიის უფროსი ეკლესიაში შემიძღვა.

— ეკლესია საკუთარი სახსრებითა და შრომით ავაგეთ. რა თქმა უნდა, პატიმრების წვლილიც ბევრია. ოცამდე პატიმარიც აქ მოვნათლეთ. მათთვის ეს ეკლესია სულიერი განძია. სწამთ ღმერთის, ლოცულობენ, ასრულებენ რიტუალებს, რამეთუ სიყრმის წლებში ისინი ეშმაკმა აცდუნა. იქნებ სალოცავმა მაინც დაუბრუნოს მათ რწმენა, ადამიანური ცხოვრების განაწესი, — თქვა ბატონმა კობამ.

კოლონიიდან გამოსვლისას კარებში შევხვდი არასრულწლოვანთა სამთავრობო კომისიის პასუხისმგებელ მდივანს — მერაბ სანიკიძეს და პარლამენტარ — გურამ ჩახვაძეს. ამ წარმოების ტერიტორიის მოწყობა-დასაქმებისა და ხელობის შესწავლის მიზნით იყვნენ ისინი მოსულები. სასუვენირო ნაკეთობებს, რომელსაც უკვე გავეცანი, არასრულწლოვნები დიდი ყურადღებითა და მონდომებით ეკიდებიან. სწავლობენ თიხაზე მუშაობას. უხარიათ კიდეც, ასეთი სამუშაო რომ გამოუჩნდათ და მას გართობას ეძახიან.

კოლონიიდან სევდანარევი და ნირწამხდარი გამოვედი, მოზარდების ბედისა და მომავლის გამო. ქარიანი დღე უფრო დამძიმდა ჩემთვის და ტკივილიანად დაღამდა ... ისე, რომ მათი საწყალი თვალები არ მომცილებია. მათი ტკივილი ჩემს კარზედაც ტირის ...

**ლანდა მასხულია**

### ანჩხლი მეზობლები

22 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს, სამეგრელო-სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოსა და ჩხოროწყუს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს სოფ. ჩხოროწყუში მცხოვრები 20 წლის ინდირა კვარაცხელია, რომელმაც მეზობლური დავის ნიადაგზე დანით ზურგის არეში დაჭრა იქვე მცხოვრები 73 წლის ვალიკო კვარაცხელია. დაზარალებული მოთავსებულია საავადმყოფოში. ი. კვარაცხელია გაშვებულია ხელწერილით.

21 მარტს გურჯაანის პოლიციამ დააკავა სოფ. ჩალაუბანში მცხოვრები 51 წლის თენგიზ ფრიდონაშვილი, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულმკერდის არეში დაჭრა სიძე, დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. ზემო მაჩხაანში მცხოვრები, 28 წლის გელა ჯანაშვილი, უკანასკნელი მოთავსებულია საავადმყოფოში. ფრიდონაშვილი გაშვებულია ხელწერილით.

### მკვლელი დაისჯება!

20 მარტს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის სამხ. სამმ. ახალქალაქის რ-ნის პოლიციის თანამშრომლებთან ერთად გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, სოფ. ვარევანში მცხოვრები 53 წლის ოვანეზ აბაჯიანი, რომელმაც წარმოადგინა ავტომატი „აკ“-74, სანადირო თოფი და მამაკაცის ქურთუკი, რომლებიც მისი განმარტებით 14 მარტს მას დაუტოვეს მისმა ნაცნობებმა, ოზურგეთის რ-ნში მცხოვრებმა ვინმე ტარიელმა და მერაბმა. 20 მარტს ქუთაისში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის სამხარეო შს სამმართველოების შესაბამისი სამსახურების და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს ოზურგეთელი 36 წლის მერაბ ვაშალომიძე, რომელმაც 13 მარტს მიმალვაში მყოფ, თბილისელ ტარიელთან ერთად ახალქალაქის რაიონის სოფ. დილისკარში დანით მოკლა რაფიკ ნახატაგიანი და მისი ძმა რუბიკ ნახატაგიანი.

### ვარამაშვილმა თავი დაიჭრა!

21 მარტს საბურთალოს რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურის და საგამოძიებო დეპარტამენტის საბურთალოს სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს რუსთაველი ნასამართლევი 18 წლის ოთარ ვარამაშვილი, რომელმაც სხვა პირთან ერთად 13 საათზე სამარშრუტო ტაქსის მგზავრებს თბილისელებს ნინო სარაულს, იანა სულაქველიძეს, ნაზი ბრეგვაძეს და ოზურგეთის რ-ნის სოფ. ბახვში მცხოვრებ სერგო ცეცხლაძეს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცა 80 ლარი და ძვირფასეულობა. ამის შემდეგ ვარამაშვილი თავისივე იარაღის შემთხვევით გასროლით მუცლის არეში დაიჭრა და მოთავსებულია სამედიცინო ინსტიტუტის №3 კლინიკაში.

### გაიტაცეს 10 ტონა ფერადი ლითონი!

21 მარტს მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად მთაწმინდის პოლიციამ დააკავა სახელმწიფო სტანდარტების დეპარტამენტის ინსპექტორი, 54 წლის რევაზ თავდიშვილი, 28 წლის გურამ ნიკურაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიის ინჟინერი თბილისელი 33 წლის ვლადიმერ რუსეცკი, რომლებმაც 1995 წლიდან 1998 წლის 7 მარტამდე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეაღწიეს ბოტანიკური ბაღის გვირაბში მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიონახშირბადის და მცირე რადიოაქტიურობის ლაბორატორიაში, გაიტაცეს 10 ტონამდე სხვადასხვა ფერადი ლითონი და ლაბორატორიის ხელსაწყოები, რომელსაც შემდგომ თბილისში გაუკეთეს რეალიზაცია.

ნივთმტკიცება ამოღებულია. თავდიშვილმა, ნიკურაძემ და რუსეცკიმ აღიარეს ჩადენილი დანაშაული.

### ავტოტრანსპორტი გაიტაცეს!

21 მარტს გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გარდაბნის პოლიციამ დააკავა მესტიის რაიონის სოფ. კალაში მცხოვრები 25 წლის ვასილ დადვანი, რომელმაც მიმალვაში მყოფ ქალდანთან და 21 წლის ზვიად რატიანთან ერთად 16 მარტს იმავე სოფელში თანასოფლელს გივი ბოძაშვილს ფიზიკური ძალის გამოყენებით წაართვა ავტომანქანა ვაზ-2101, დაზარალებულმა პოლიციაში განაცხადა 21 მარტს. ავტომანქანა ამოღებულია.

21 მარტს 06 საათზე დიდუბის პოლიციამ დააკავა თბილისელი 36 წლის მერაბ პირველი, რომელიც თბილისელ ლევან ჯუღელის ავტომანქანას ვაზ-2106 იტაცებდა.

20 მარტს სენაკელმა შალვა აშორგიამ სენაკის პოლიციას ნებაყოფლობით ჩააბარა ფეხოსანთა საწინააღმდეგო „პმნ-2-583“ ტიპის 5 ნაღმი და „ნურსის“ სისტემის ჭურვი.

20 მარტს სოფ. მედანში მცხოვრებმა კობა მიქავამ წალენჯიხის პოლიციას ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატ „აკს“-ის 231 და „აკმ“-ის 172 ვაზნა.

19 მარტს სოხუმის შს სამმართველოში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა წალენჯიხელმა 44 წლის სანდრო ჭანტურიამ ნებაყოფლობით ჩააბარა ყუმბარმტყორცნის 5 ჭურვი და კარაბინის 77 ვაზნა.

### მამის მკვლელი!

20 მარტს 01 საათზე სოფ. უკანეთში მცხოვრებმა ნასამართლევმა 21 წლის ტარიელ რუსაძემ ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფით მოკლა მამა 47 წლის კუკური რუსაძე და მიიმალა.

### ამჯერად მკვლელობაზე გაასამართლებენ!

19 მარტს 22 საათზე ბათუმში სავაჭრო ცენტრ „ცისკარასთან“ უკრაინის რესპუბლიკის ქ. დონეცკში მცხოვრებმა ოთხჯერ ნასამართლევმა 36 წლის სოსლან მიქელაძემ, ურთიერთშელაპარაკებისას მუცლის არეში დანის დარტყმით მოკლა რამოდენიმეჯერ ნასამართლევი 37 წლის კახაბერ ბიცოევი და ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ყოროლისთავში მცხოვრები, 45 წლის ავთანდილ ცენტერაძე. მიქელაძე დაკავებულია.

**ხათუნა ნოზაძე**
*შსს პრესცენტრი*

# „იზოსტარის" თასზე

19 მარტიდან 22 მარტამდე სკა-ს სპორტულ კომპლექსში მიმდინარეობდა „იზოსტარის" თასის გათამაშება მინი ფეხბურთში. ამ ტურნირის ორგანიზატორები საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ფირმა „იზოსტარი" იყო.

ტურნირში მონაწილეობდნენ ინგლისისა და გერმანიის საელჩოები, ტელევიზიის გუნდი, „საქართველოს ავიახაზები" და ეუთოს გუნდები. აგრეთვე მასპინძელი სფფ-ს გუნდიც. ორგანიზატორთა ჩანაფიქრით ტურნირი ურთიერთმეგობრობისა და უფრო ახლო გაცნობის სურვილი იყო, ამიტომ ანგარიშებს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. თუმცა, ოქმები სრული წესით დგებოდა. ტურნირს ეტყობოდა, რომ ორგანიზატორებს დიდი გამოცდილება აქვთ ანალოგიური ტურნირებისა და მატჩების ჩატარებისა. მაგრამ ტურნირი ტურნირია და გამარჯვებული მაინც უნდა გამოვლენილიყო.

შვიდი გუნდი ორ ქვეჯგუფად იყო დაყოფილი. ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდები ფინალში ითამაშებდნენ, ხოლო მეორე ადგილზე გასული გუნდები მესამე ადგილისათვის გამართავდნენ მატჩს.

22 მარტს გაიმართა ფინალური მატჩები. მესამე ადგილზე ტელევიზიის გუნდი გავიდა. მათ 3:0 სძლიეს ინგლისის საელჩოს გუნდს. პირველ ადგილზე გავიდა და ტურნირის გამარჯვებული გახდა „საქართველოს ავიახაზების" გუნდი. მათ ანგარიშით 7:3 გერმანიის საელჩოს გუნდი დაამარცხეს. ფინალური მატჩის შემდეგ მოეწყო გუნდებისა და ცალკეული ფეხბურთელების დაჯილდოვების ცერემონიალი. ჩვენ არ შევუდგებით საუკეთესო ფეხბურთელების გვარების ჩამოთვლას, რამეთუ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურნირის მიზანი გამარჯვებულთა გამოვლენა არ იყო.

რაც შეეხება გუნდებს, მათი მეგობრული დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ აღნიშვნის




ღირსია. ძალზედ ძლიერად ჩაატარა ტურნირი „საქართველოს ავიახაზების" გუნდმა და ფინალშიც ღირსეულად გავიდა. რაც შეეხება გერმანიის საელჩოს გუნდს, მათი ძლიერი თამაში მოსალოდნელი იყო. მაგრამ ასეთ დონეზე თამაშს კი არავინ ელოდა. ინგლისის საელჩოს გუნდმა, როგორც მათ ჩვევიათ ჯენტლმენური საქციელითა და ღირსეული თამაშით, III ადგილისათვის ბრძოლა დათმეს ტელევიზიის გუნდთან. ტელევიზიის გუნდი ამ ტურნირში ყველაზე ძლიერად გამოიყურებოდა. სამწუხაროდ, მათ კენჭისყრაში არ გაუმართლათ და ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდნენ. თუ არა კენჭისყრის უიღბლობა, ისინი ალბათ ფინალში ითამაშებდნენ. იუსტიციის გუნდს ეტყობოდა, ტურნირისათვის სათანადოდ რომ არ იყო მომზადებული. თუმცა, თამაშიდან თამაშამდე აშკარა პროგრესს განიცდიდნენ. მათ აშკარად პერსპექტიული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, გასახსენებელია მათ მიერ ჩატარებული ბოლო მატჩი. ისინი თანაბარ ბრძოლაში დამარცხდნენ „ავიახაზების" გუნდთან. ცალკე აღნიშვნის ღირსია ეუთოს გუნდი. ისინი პარალელურად სხვა ტურნირშიც მონაწილეობდნენ და ერთი წუთითაც არ დაუგვიანიათ მათთვის დანიშნულ მატჩებზე. სამართლიანი და ღირსეული თამაშისათვის მათ პრიზი დაიმსახურეს. ბოლოს ტურნირის მასპინძელი გუნდის შესახებ. სფფ-ს შეეძლო ძალზე ძლიერი გუნდის გამოყვანა. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ვეტერანი ფეხბურთელების მთელი პლეადა მუშაობს. სამწუხაროდ, მოუცლელობის გამო, მათ ვერ შესძლეს თამაშებში მონაწილეობის მიღება. არადა მათი თამაში ტურნირის მშვენება იქნებოდა. ორგანიზატორებისგან შევიტყვეთ, რომ ეს ტურნირი ტრადიციული გახდება და შემდგომში უფრო ფართო ხასიათს მიიღებს. ჩვენი მხრივ, კი წარმატებები ვუსურვოთ სფფ-სა და იზოსტარის ფირმას ჩვენი ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

**დათო ავალიანი**

# იუჰანსონი სიტყვის კაცი აღმოჩნდა



უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი სიტყვის კაცი აღმოჩნდა. მან განაცხადა, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლებისთვის გერმანელებს დაუჭერს მხარს. მან თქვა, რომ თუ არჩევანი მათსა და ინგლისელებს შორის იქნება, არ დაარღვევს იმ ჯენტლმენურ შეთანხმებას, რომელიც უეფას აღმასრულებელმა ხელმძღვანელობამ დადო და რომლის თანახმადაც, თუ ინგლისი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებდა, მაშინ 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით გერმანელები იოჰანსონს მიიჩნევენ ფიფას პრეზიდენტის, ბრაზილიელი ჟოაო აველანჟის მემკვიდრედ და მისდამი დიდ მხარდაჭერას გამოხატავენ, მაგრამ არსებობს აველანჟის უახლოესი მეგობარი ზებ ბლატერი, რომელსაც აგრეთვე სურს ფიფას პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენოს თავისი თავი. ამ ფაქტორმა შესაძლებელია გერმანელების შანსები ეჭვქვეშ დააყენოს. ასევე პრეზიდენტობის კანდიდატად შესაძლოა დასახელდეს ფრანც ბეკენბაუერი.

ბეკენბაუერმა ეჭვქვეშ დააყენა გერმანიაში 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება. გერმანიის ელჩმა გაჩაღებულ კამპანიაში განაცხადა, რომ ჩემპიონატის ჩატარება საეჭვოაო. ამისთვის საჭიროა, რომ უეფას მთლიანად შენი მხარე ეჭიროსო. აქვე ფრანცმა ორაზროვნად დასძინა: „როცა ორი კაცი იბრძვის, ძირითადად მესამე იმარჯვებსო." შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს პირველობის მასპინძლის ვინაობას 2000 წელს ფიფას 24 კაციანი აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყვეტს. თავიანთი კანდიდატურები უკვე წამოაყენა გერმანიამ, ინგლისმა და აფრიკამ. ვინ იცის იქნებ ბეკენბაუერი იმ მესამე მხარედ სწორედ აფრიკას



მიიჩნევს. თანაც უკვე დიდი ხანია დაწყებულია საუბარი მსოფლიო პირველობის შავ კონტინენტზე გამართვის შესახებ, რომლის ფეხბურთმაც ბოლო ხანს აშკარა პროგრესი განიცადა.

# NEWS NEWS NEWS NEWS NEWS

## სტოიჩკოვს კლუბი გამოუჩნდა

„ბარსელონაში" მოთამაშე ბულგარელ ვარსკვლავს 32 წლის ხრისტო სტოიჩკოვს



იჩკოვს როგორც იქნა გუნდი გამოუჩნდა. იგი კვლავ თავის მშობლიურ გუნდში, სოფიის „ცსკა"-ში დაბრუნდება და შაბათს პლოვდივის „ლოკომოტივთან" მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

## გულშემატკივრების შეურაცხყოფა არავის ეპატიება

„ნიუკასლის" დირექტორებმა ფრედ შეფარდმა და დუგლას ჰოლმა გუნდის გულშემატკივრებს თავისი დაუფიქრებელი გამოსვლით შეურაცხყოფა მიაყენეს, რითაც ძალზე გააბრაზეს გუნდის ფანები. გულშემატკივრები დირექტორთა გადადგომას ითხოვდნენ, ხოლო თვით პასუხისმგებელი პირები დუმილს ამჯობინებენ. მათ როგორც იქნა შეიგნეს ის საშიშროება, რაც მათ წინაშე იდგა და ბოდიშის მოხდა იკადრეს. არადა ამ აურზაურის გამო „ნიუკასლის" აქციათა ფასმა ბირჟაზე სწრაფი ვარდნა განიცადა. ალბათ სწორედ ამან განაპირობა ბოდიშის მოხდაც. თუმცა, როგორც საქმიდან ირკვევა, ამან შეიძლება მაინც ვერ უშველოს მათ. ფანები არ კმაყოფილდებიან მხოლოდ ბოდიშის მოხდით და კვლავ ითხოვენ მათ გადაყენებას, ვინაიდან [illegible] არნა[illegible] კრიზისს განიცდი[illegible] შე[illegible] დრა „ნიუკასლმა" შინ [illegible] კრისტალ პალასთან". ამ მა[illegible] [illegible]მენტირებისაგან დირექტორებმა თავი შეიკავეს და გულშემატკივრებიც აალელვეს, მაშინ საქმის მოგვარება „ნიუკასლის" გულშემატკივართა დამოუკიდებელმა ასოციაციამ იკისრა და კლუბის ხელმძღვანელობას პასუხი მოსთხოვა. „ჩვენ დიდ ბოდიშს ვუხდით გუნდის ფანებს და ვთხოვთ გვაპატიონ. ყოველნაირად შევეცდებით გამოვასწოროთ შექმნილი რთული მდგომარეობა და მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს" — განაცხადეს მათ. კლუბის ხელმძღვანელობამ კი განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ აპირებს დირექტორატის შეცვლას, ვინაიდან ასეთმა გადაწყვეტილებამ შეიძლება გაართულოს ისედაც ჩახლართული სიტუაცია.

## გაზამ შესაძლოა ინგლისის პირველ დივიზიონში ითამაშოს

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „მიდლსბროს" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ დაითანხმა „გლაზგო რეინჯერსი" და ამ გუნდის ყველაზე სკანდალური ფეხბურთელი პოლ გასქოინი, რომ 5 მილიონ დოლარად I დივიზიონში ითამაშოს. თუმცა ბოლო ცნობებიდან ჩანს, რომ გასქოინთან მოლაპარაკებები პირად მოთხოვნებზეა მიყვანილი.

თუ პერსონალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იქნება, მაშინ გაზა „მიდლსბროს" შეუერთდება. ტრავმირებული ფეხბურთელი უკვე კარგა ხანია „რეინჯერსის" რიგებში აღარ ჩანს. მან ინგლისის ნაკრებშიც დაკარგა ადგილი. ამასთან დაკავშირებით ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ჰოდლმა განაცხადა, რომ ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბში გადასვლა გაზას სანაკრებო კარიერაზე არ იმოქმედებს. აღსანიშნავია ისიც, რომ გაზას წაყვანა „კრისტალ პალასსაც" უნდა, მაგრამ მან მაინც „მიდლსბრო" ამჯობინა.

## რუსებსაც გაუჭირდათ

რუსეთის ფეხბურთის ფედერაცია ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. ორგანიზაციას ნაკრების მოთამაშეებისათვის გადასახდელი თანხაც კი აღარა აქვს. თვით ფეხბურთელებიც აღშფოთებულნი არიან ამით. მაგრამ ამბობენ, თანხაზე არც კი ვწუწუნებთ, ფედერაციაში ნორმალური [illegible]ილდე[illegible]ულება რომ ჰქონდეთ ჩვენს მიმართო.

## დე ლა პენიას „ინტერში" წასვლა ჭორია

„ბარსელონას" ნახევარმცველმა ივან დე ლა პენიამ უარყო ხმები, თითქოს მისი ამასწინანდელი ვიზიტი იტალიაში ფეხბურთელის მილანის „ინტერში" შესაძლო გადაბარგებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. როგორც ცნობილია, იგი დიდი ხანია იტალიური ფეხბურთის ყურადღების ცენტრშია. ამ ჭორის გავრცელებას შესაძლოა იმანაც შეუწყო ხელი, რომ მისი უახლოესი მეგობარი რონალდო „ინტერის" ფეხბურთელია.

## მოსკოვის „სპარტაკი" ღრუბლებში დაცურავს

მოსკოვის „სპარტაკი" უეფას თასის გათამაშების შემდეგ ეტაპზე მილანის „ინტერს" შეხვდება. თუმცა, რუსები იხტიბარს მაინც არ იტეხენ და გაიძახიან, სადაც „აიაქსი" გავანადგურეთ, იქ „ინტერსაც" გავუმკლავდებითო. თუ „სპარტაკი" თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანს, უკვე ფინალში გავა, რაც არამარტო გუნდის



პირადი რეკორდი, არამედ რუსებისათვის მეორე შემთხვევა იქნება, როდესაც ამ ქვეყნის კლუბი ევროთასების ფინალში გადის. შეგახსენებთ, რომ პირველად ეს მოსკოვის „დინამომ" შესძლო 1972 წელს, როდესაც „რეინჯერსთან" დამარცხდა 3:2. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ორ გუნდს აქვს ევროპის თასაღებული. მაგრამ რუსები რატომღაც ამას არც ისე ხშირად იხსენებენ. მათთვის ყოველთვის „სპარტაკი" იყო და არის მთავარი გუნდი.

## უნგრეთის ფედერაციამ მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა გულშემატკივრებს

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა 1000 გულშემატკივარი 25 მარტს ვენაში ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩზე უფასოდ გაამგზავროს. 2004 წელს ამ ორ ქვეყანას სურვილი აქვს ერთობლივად უმასპინძლონ ევროპის ჩემპიონატს და ეს აქციაც პატარა მშვიდობიან დემონსტრაციად იქცევა ნიშნად ამ ქვეყნებს შორის არსებული კეთილგანწყობისა.

## „ინტერს" იოჰან კრუიფი არ სჭირდება

მილანის „ინტერის" მფლობელმა მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ თუ მისი გუნდი წელს ქვეყნის ჩემპიონი არ გახდება, მაშინ იგი სიმონის გაანთავისუფლებს დაკავებული თანამდებობიდან, იქვე დასძინა, რომ იგი არ ეთანხმება ესპანური პრესის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გუნდში იოჰან კრუიფის მოწვევის შესახებ.

## დიეგო მარადონას წინააღმდეგ სასამართლომ ახალი საქმე აღძრა

იტალიის სასამართლომ დიეგო მარადონას წინააღმდეგ ახალი საქმე აღძრა, რომელიც ამჯერად არც ნარკომანობას, არც მოჩხუბრობას და არც აყალ-მაყალს არ ეხება. საქმე იმაშია, რომ დიეგო ალიმენტს არ იხდის. მას ნეაპოლში არაკანონიერი შვილი ჰყოლია ვინმე კრისტინა სინაგრასთან და იგი თვეში 2770 დოლარსაც იხდიდა, მაგრამ ახლა მას ალბათ 221000 დოლარით დააჯარიმებენ.

## ავსტრალიის ნაკრები ძველი მწვრთნელის იმედზე რჩება

ავსტრალიის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა ახალი მწვრთნელის დანიშვნას იმ იმედით აყოვნებს, რომ ინგლისელი ტერი ვენეიბლზი დათანხმდება მათთან ურთიერთობის გაგრძელებაზე. შეგახსენებთ, რომ ინგლისელ მწვრთნელს მათთან 19 თვიანი კონტრაქტი ივლისის თვეში უმთავრდება. ამასთან მას სერიოზული მიღწევა აქვს პრემიერ-ლიგის „კრისტალ პალასისაგან", რომელზეც საბოლოო პასუხი მას ჯერ არ მიუცია. ისე, ავსტრალიელებს დიდი სურვილი აქვთ, რომ



ამ მწვრთნელმა კვლავ მათთან ითანამშრომლოს.

## ბელგიის ნაკრებში შიფო დაბრუნდება

ბელგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჟორჟ ლიკენსმა გადაწყვიტა გუნდში ვეტერანი ფეხბურთელი ენცო შიფო დააბრუნოს. თუმცა ლიკენსმა ისიც აღნიშნა, რომ შიფოს ამისთვის თავდადებული ბრძოლა დასჭირდება, ვინაიდან მას ნაკრებში ადგილი დაჯავშნული ჯერ არა აქვს.

## ინგლისელებს ტრავმირებული ფეხბურთელები ემატებათ

ინგლისელებს დიდი გასაჭირი აქვთ. ტრავმირებულებს ტრავმირებულები ემატებიან და ჰოდლის უკვე აღარ შეუძლია ამ ლაზარეთში ჯანმრთელი ფეხბურთელის პოვნა. მონაკომ „მანჩესტერის" მატჩის დროს მუხლნატკენ სქოულზს გვერდით ახლა ენდი კოულიც მიუჯდა. თუმცა ექიმები იმედოვნებენ, რომ ეს უკანასკნელი ვარჯიშებს მალე შეუდგება.

**ზურაბ დავითაია**

# ავთანდილ ღლონტი:

## ჩვენ მზად ვართ ვიბრძოლოთ დამალული შემოსავლების წინააღმდეგ, ქვეყანაში ფინანსური წესრიგის დამყარებისა და ბიუჯეტის აღსრულებისათვის

ინტერვიუ

*შტრიხები პორტრეტისათვის:*

*დაიბადა 1953 წ. ოზურგეთში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტი. მუშაობდა ოზურგეთის გამგებლის მოადგილედ, ოზურგეთის საგადასახადო ინსპექციის უფროსად, გურიის რეგიონალური ოპერატიული სამმართველოს უფროსად, 1998 წ. იანვრის თვიდან მუშაობს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველოს უფროსად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.*

*გთავაზობთ საუბარს ბატონ ავთო ღლონტთან.*

**— რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, თქვენს სამსახურში რა სტრუქტურული ცვლილებები მოხდა?**

— ოპერატიული სამმართველო არის აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური ორგანო მოკვლევისა და ოპერატიული სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების უფლებით. იგი უზრუნველყოფს საგადასახადო სფეროში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას.

ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად სამმართველოს სტრუქტურა მოყვანილი იქნა საგადასახადო კოდექსთან და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. დღეისათვის იგი აერთიანებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების, შესაბამის სამსახურებს, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ოპერატიული სამმართველოს ცენტრალურ აპარატს. სამსახური შედგება სამი ძირითადი რგოლისაგან: ოპერატიული, საკონტროლო-სარევიზიო და მოკვლევა.

**— გამორიცხავთ თუ არა თქვენს სამსახურში კორუფციის ელემენტებს, მაშინ, როცა თქვენს ინსპექტორებს 50 ლარი აქვთ ხელფასი?**

— მე ამას არ გამოვრიცხავ. პარალელურად ვარ დანიშნული საქართველოს საგადასახადო ინსპექციაში კორუფციასთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარედ. კორუფცია მანამ იარსებებს, სანამ 30 ლარიანი და 100 ლარიანი საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორი და უფროსი გვეყოლება. ჩვენთან ვინც კარგი სპეციალისტები იყვნენ, ყველა წავიდა ფირმებში, სადაც 300-400 ლარს უხდიან. მე ვფიქრობ, რომ ინსპექციის მუშაკთა სტიმულირება უნდა შეიცვალოს. შეიძლება ჩვენ ძველ სისტემას არ დავუბრუნდეთ, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ინსპექტორების მიერ ამოღებული თანხების მიხედვით ხდებოდა მათი შეფასება. შესაბამისად, თანხების გაცემა, მათ სოლიდური პრემიები ჰქონდათ და ბუნებრივია უფრო მეტი ინტერესი არსებობდა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის და ამოღებული თანხების ბიუჯეტში შეტანის. ეს ინტერესი დღესაც უნდა ჰქონდეს თითოეულ ინსპექტორს და ალბათ ეს იქნება ყველაზე უფრო ეფექტური მექანიზმი კორუფციასთან ბრძოლაში.

**— მაშინ, როცა სანქცია წარმოადგენდა საურავების პროცენტულ განაკვეთს, საკმაოდ სოლიდური თანხა გროვდებოდა. დღეს, როცა ეს თანხები პროცენტებზე იქნა დაყვანილი, საკმარისი თუა?**

— მომზადებულია პროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესატანად იმის გამო, რომ კუთვნილი გადასახადის გადაუხდელობისათვის ძალიან დაბალია საურავი, დაბალია განაკვეთები.

**— იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო მაჩვენებელი არ შესრულდა, თუ გეკისრებათ რაიმე პასუხისმგებლობა?**

— რა თქმა უნდა, თუ საბიუჯეტო მაჩვენებლები არ შესრულდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ოპერატიულმა სამმართველომ ცუდად იმუშავა.

**— ოპერატიული სამმართველოს მუშაკებისაგან გამიგონია, რომ „ჩვენ უფრო მეტი შესაძლებლობა გვაქვს, ვიდრე საგადასახადო ინსპექციას". ძირითადად რა განსხვავებაა თქვენს სამსახურსა და საგადასახადო ინსპექციის სამსახურებს შორის, როგორია ურთიერთდამოკიდებულება?**

— არის ბევრი ისეთი ორგანიზაცია, რომელიც არ იხდის კანონით გათვალისწინებულ გადასახადს. მაშინ საგადასახადო ინსპექცია ითხოვს ჩვენგან დახმარებას ნარჩენი თანხების ამოსაღებად. ამ შემთხვევაში ოპერატიული სამმართველო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დადგენილი წესის მიხედვით აწარმოებს ძებნას. საგადასახადო ინსპექციისაგან განსხვავებით, ოპერატიული სამმართველო არეგულირებს იმ უფლებებს, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აქვს მინიჭებული.

ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი ობიექტი შემოწმდა ჩვენს მიერ: მაღაზიები, კაზინოები, რესტორნები, ბაზრობები, სადაც გამოვლინდა დიდი რაოდენობის აღურიცხავი საქონელი, გადასახადის დამალვის და გაყალბებული ფაქტურების გამოწერის ფაქტები. მოკვლეული მასალები გადაეცა თბილისის შესაბამის სამართლის საქმეები.

**— რომელი ზემდგომი ორგანო აკონტროლებს თქვენს სამსახურს?**

— სამმართველოს საქმიანობაში მოკვლევის კანონიერებაზე ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.

**— თქვენი სამსახურის გარდა, არსებობს სხვა ოპერატიული სამსახურებიც, რომლებიც აკონტროლებენ ამა თუ იმ ორგანიზაციას, რას გვეტყვით არსებულ სამსახურებთან დაკავშირებით?**

— საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო საკითხებზე შემოწმების უფლება აქვს მხოლოდ საგადასახადო ორგანოებს. ბოლო პერიოდში, რადგან არსებობს სხვა ოპერატიული სამსახურები, მათ გააჩნიათ ინფორმაციები დანაშაულის ფაქტებზე. მათზე დაყრდნობით, ერთობლივად ხდება ობიექტების შესწავლა.

**— ხდება თუ არა იმ ქართველი მეწარმეების რეალური შემოსავლების დადგენა, რომლებიც ეწევიან ექსპორტს სხვა ქვეყნებში რომელი ქვეყნის ფედერალურ სამსახურებთან გაქვთ ხელშეკრულება დადებული ინფორმაციების გაცვლისა და დახმარების აღმოჩენის თაობაზე?**

— ესენგეს სივრცეში ბევრ ქვეყანასთან და მათ შორის, რუსეთის საგადასახადო პოლიციის ფედერალურ სამსახურთან. იყო შემთხვევა, რომ ჩვენი თანამშრომელი მივლინებული იქნა მოსკოვში, სადაც ფაქტობრივად დიდი დახმარება აღმოუჩინეს ჩვენმა კოლეგებმა.

ამ ბოლო დროს იყო ასეთი შემთხვევა, რომ რუსეთის საგადასახადო პოლიციამ მოგვმართა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიერ შემოწმებული იქნა კრასნოდარის მხარეში არსებული ბორჯომის ჩამომსხმელი ფირმა, რომელსაც საქართველოდან ფირმა „ინტეგრალი" უგზავნის ბორჯომის ფხვნილს და იქ ხდება ბორჯომის ჩამოსხმა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფირმა „ინტეგრალი" საქართველოში არ არის რეგისტრირებული. აღნიშნული საქმიანობა წარმოებულია გაყალბებული დოკუმენტებით.

ჩვენ მზად ვართ ვიბრძოლოთ დამალული შემოსავლების წინააღმდეგ, ქვეყანაში ფინანსური წესრიგის დამყარებისა და ბიუჯეტის აღსრულებისათვის.

**— გმადლობთ.**

**ნანა ქველაია**

# გადასახადები საქართველოში

### დამატებული ღირებულების გადასახადი

ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალთა შორის უჭირავს დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ-ს).

დღგ გამოიანგარიშება როგორც სხვაობა რეალიზებული საქონლის ან მომსახურების ღირებულებასა და საწარმოო დანახარჯებში შემავალი მატერიალური დანახარჯების ღირებულებას შორის. მაგალითად, თუ საწარმომ გაყიდა 1000 ლარის პროდუქცია და ამ დროს მისი მატერიალური დანახარჯები ნედლეულის შეძენაზე, მანქანა-დანადგარების შეძენაზე შეადგენს 60 პროცენტს ანუ 600 ლარს, საწარმო იხდის გადასახადს მხოლოდ ამ თანხების სხვაობიდან ანუ 400 ლარის 20 პროცენტს;

დღგ ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე;

დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი.

საქართველოში დღგ-ს გადასახადის განაკვეთი 20 პროცენტია. საქონლის ექსპორტი და ხორბლის იმპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

დღგ-ისაგან განთავისუფლებულია:

ფინანსური მომსახურების გაწევა;

სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამით;

ფიზიკური პირების მიერ სხვა არამეწარმე ფიზიკური პირებისათვის შენობების იჯარით გადაცემა; აგრეთვე ბინის ქირა;

სამედიცინო მომსახურება; ავადმყოფთა, ინვალიდთა მოვლა-პატრონობის მომსახურება;

გარკვეული ფარმაცევტული პროდუქციის (მ.შ. ვაქცინების) მიწოდება ან იმპორტი ინვალიდთა ეტლების, იოდიზირებული მარილის, დიაბეტური კვების, ჩვილ ბავშვთა კვების და ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან იმპორტი. წრეებში, სტუდიებში ბავშვების და მოზარდების სწავლების მომსახურება;

სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის მიწოდება, ბეჭდვა, იმპორტი.

თეატრალური წარმოდგენების, სპორტ. სანახაობების, მუზეუმების ბილეთების მიწოდება, ბეჭდვა, სამეცნიერო, მხატვრული წიგნებისა და ჟურნალების იმპორტი, თუ ავტორები საქართველოს მოქალაქეები არიან;

საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული და გამოცემული პერიოდული ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა, მიწოდება და რეალიზაციის მომსახურება;

საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის და სხვა სალვთისმსახურო საგნების მიწოდება; საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრების მშენებლობა, რესტავრაცია; საქართველოს კულტურის ძეგლების რეკონსტრუქცია, რესტავრაცია და არქეოლოგიური გათხრები;

სტიქიური უბედურების ლიკვიდაციის, ჰუმანიტარული დახმარების და ქველმოქმედების მიზნით გადაცემული საქონლის იმპორტი;

სახელმწიფო ტარიფებით საქალაქო და შიდარაიონულ მარშრუტებზე სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) მომსახურება;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე;

საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისთვის;

საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეული და ნახევარფაბრიკატები;

საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი, დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკლები ოდენობით, რაც დადგენილია საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლებისთვის;

საწარმოების არააქციზური პროდუქციის მიწოდება, თუ ამ საწარმოში დასაქმებულთა 70 პროცენტს ინვალიდები შეადგენენ;

უფრო დაწვრილებით დღგ-ს გადასახადების შესახებ იხ. საგადასახადო კოდექსი.

**P.S.** დამატებული ღირებულების გადასახადი მოქმედებს უმეტეს ქვეყნებში, თუმცა საგადასახადო განაკვეთი განსხვავებულია (გერმანიაში 15 — სამრეწველო და 7 — კვების პროდუქტებზე), ან მაგალითად აშშ-ში ეს გადასახადი არ გამოიყენება. თუ რა აზრის არიან ქართველი მეწარმეები ამ გადასახადებზე და მის განაკვეთზე, მომავალ სტატიებში შემოგთავაზებთ.

### აქციზი

აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელსაც ადგენს სახელმწიფო პროცენტებში გარკვეულ პროდუქციის ფასთან მიმართებაში და რომელსაც ჩვეულებრივ უყენებენ მაღალრენტაბელურ პროდუქციას (ალკოჰოლი, თამბაქო, ავტომობილები და სხვ.). ამ გადასახადს მწარმოებელ-რეალიზატორები იხდიან. ძველად სასმელზე და თამბაქოს ნაწარმზე შემოღებულ აქციზს „ცოდვილთა გადასახადს" უწოდებდნენ. აქციზის შემოღებას თეორიულად ორგვარი მიზანი გააჩნია. ერთის მხრივ, ეს არის მაღალი მოგების მომტანი პროდუქციის მეშვეობით საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა, მეორე მხრივ კი ფასების აქციზით გაზრდით საქონლის მოხმარების შეზღუდვა. საქართველოში აქციზის განაკვეთები სხვადასხვა სახის საქონელზე მერყეობს 5-დან 100 პროცენტამდე. აქციზით დაბეგვრის ობიექტია როგორც აქციზური საქონლის იმპორტი, ასევე საქართველოში წარმოებული ამგვარი საქონლის მიწოდება. აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.




აქციზისაგან თავისუფლდება:

ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული და მოხმარებული ალკოჰოლური სასმელები; ამავე მიზნით ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი; საქართველოში ავტომობილით შემომსვლელი პირის ავტომობილის ავზში არსებული საწვავი; აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებით საბაჟოზე შემოტანა;

მანქანებისა და საბურავების იმპორტი სტიქიური უბედურების დროს ჰუმანიტარული დახმარების მიზნით.

**P.S.** 1997 წლის თამბაქოზე აქციზით ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ 27 მლნ. ლარს გადააჭარბა.

### ქონების გადასახადი

ამ გადასახადს იხდიან როგორც ფიზიკური პირები, ასევე საწარმოები (იურიდიული პირები).

**ფიზიკური პირების** დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ურბანულ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობანი ან მათი ნაწილი), მიწის გარდა.

გადასახადის განაკვეთი ყოველწლიურად შენობის ან ნაგებობის საინვენტარიზაციო ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობითაა განსაზღვრული. გადასახადით არ იბეგრება ბავშვობიდან ინვალიდების, აგრეთვე I და II ჯგუფის ინვალიდების ქონება.

**საწარმოთა ქონების** გადასახადის გადამხდელები არიან: საქართველოს საწარმოები, მათი ქვედანაყოფები, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და ბანკში ანგარიშსწორების ანგარიში.

საწარმოთა ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოცემული საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები (შენობა-ნაგებობა, დაზგა-დანადგარები), დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი და არამატერიალური აქტივები.

გადასახადის გადამხდელის ქონების ღირებულება იბეგრება 1 პროცენტიანი განაკვეთით.

გადასახადი, არ იბეგრება:

ბუნების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამოყენებული ქონება; მიწა, მიმოსვლის გზები, საკომუნიკაციო ხაზები; ქონება, რომელიც დადგენილი წესით გადაყვანილია კონსერვაციის რეჟიმზე; ორგანიზაციის ქონება, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა; საწარმოთა ქონება, თუ აქ დასაქმებულთა 70 პროცენტს ინვალიდები შეადგენენ

**კობა ბრეგვაძე**

/გაგრძელება იქნება/

## გადასახადის განაკვეთები

| № | საქონლის დასახელება | საქონლის ნომენკლატურის კოდი | აქციზის განაკვეთი |
|---|---|---|---|
| 1 | ყურძნის ღვინოები და ღვინო მასალები, შამპანური და ცქრიალა ღვინოებისა და შემაგრებული ღვინოების გარდა | 2204 | 15 |
| 2 | შემაგრებული ღვინოები და ღვინო მასალები | 2204 | 50 |
| 3 | ყურძნის ცქრიალა და შუშხუნა ღვინოები | 2204 | 20 |
| 4 | შამპანური ღვინოები | 2204 | 100 |
| 5 | ვერმუტი, ხილის ღვინოები (ხილის შუშხუნა ღვინოების ჩათვლით), ღვინომასალები, სხვა სასმელები. | 2205<br>2206 | 50 |
| 6 | სპირტიანი სასმელები:<br>— ბრენდი, ბრენდის მასალა, ყურძნის ღვინისაგან მიღებული სხვა სპირტიანი სასმელები, არაყი<br>— სხვა დანარჩენი (კონიაკი, ვისკი, ჯინი, რომი, ბალზამი, ლიქიორი და სხვა ალკოჰოლური სასმელები) | <br>2208<br><br>2208 | <br>50<br><br>100 |
| 7 | ეთილის სპირტი | 2207<br>2208 | 100 |
| 8 | ლუდი | 2203 | 15 |
| 9 | თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)<br>— უმაღლესი, პირველი და მეორე კლასისა<br>— მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასისა | <br>2402<br>2403 | <br>100<br>5 |
| 10 | საიუველირო ნაწარმი | 7113; 7114; 7116 | 35 |
| 11 | მსუბუქი ავტომობილები (ძედის ძალაში 2001 წლის 1 იანვრიდან) | 8703 | 15 |
| 12 | მსუბუქი ავტომობილების საბურავები | 401110000<br>4012 | 15 |
| 13 | საავტომობილო ბენზინი (ეთილირებულის გარდა) | 271000330<br>271000350 | 15 |
| 14 | ეთილირებული ბენზინი | 271000330<br>271000350 | 50 |
| 15 | თართისა და ორაგულის ხიზილალა, ძვირფასი სახეობის თევზებისა და ზღვის პროდუქტების დელიკატური პროდუქცია | 16 | 20 |

# ღირსეული სიცოცხლეშივე უნდა დაფასდეს

19 მარტს ხელოვნების ინსტიტუტში გაიმართა ხელოვნებათმცოდნეთა სხდომა, რომელზეც ხელოვნების ისტორიის მკვლევარები ხელოვნებაში არსებულ სხვადასხვა პრობლემებს შეეხნენ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქალბატონ ანი კლდიაშვილის გამოსვლა იმდენად, რამდენადაც ის შეეხო ყველაზე მტკივნეულ საკითხს თანამედროვე ხელოვნებაში თემით „ხელოვნების ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმები და თანამედროვე ბაზარი". ის, რაც დღეს თანამედროვე ხელოვნებაში ხდება, რა ყოფაშიც თანამედროვე მხატვრები იმყოფებიან, ძრიად სავალალოა, რომელიც მნიშვნელოვანწილად საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გამოა გამოწვეული. მხატვარი, რომელიც ჭეშმარიტ ხელოვნებას ქმნის და მას სრულყოფს საკუთარი ნიჭის ხარჯზე, ფაქტიურად უსახსრო და დაუცველია დღეს არა მხოლოდ სახელმწიფოსაგან, არამედ მათგანაც, ვინც მათ უშუალოდ ყურადღება უნდა მიაქციოს, ვინც უშუალოდ უნდა იზრუნოს მათი შემოქმედებითი ღირსებების წარმოსაჩენად (ვგულისხმობ ხელოვნებათმცოდნეობას). ღირსეულს აღიარება უნდა სიცოცხლეშივე...

... ის საკითხი, რაც ქალბატონმა ანიმ ასე მწვავედ დასვა, მინდა მეცნიერებათა აკადემიის დარბაზის გარეთ გამოვიტანო და მკითხველს მივაწოდო.

... დღევანდელ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ხელოვნების სოციალური ასპექტით კვლევის საკითხი და ასეთი კვლევის აუცილებლობა უნდა წარმოვაჩინოთ, რადგან ეს პრობლემა თვითონ ცხოვრებამ დასვა და წამოჭრა ჩვენს წინაშე და თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს უახლოეს წარსულს, ჩვენ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ხელოვნება და მათ შორის მხატვრობა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მხატვრობა, განსხვავებით ხელოვნების სხვა დარგებისაგან: კინო, თეატრი, მუსიკა, ქმნის ნივთს, პროდუქტს, სურათს. ნივთი კი ადამიანის წარმოდგენაში მის გამოყენებასთან და მის უტილიტალურ ფუნქციასთან ასოცირდება. ხელოვნების ნაწარმოებები მნახველის პიროვნულ გაგებასა და თანაგანცდასთან ერთად გულისხმობს ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობასაც. ეს კი ხელოვნების ნაწარმოებებს აქცევს პროდუქციად, ხოლო ნებისმიერ პროდუქციას კი საკუთარი ფასი უნდა გააჩნდეს, მაგრამ როგორ შეიძლება გამოითვალოს ხელოვნების ნაწარმოებთა შესაბამისი ფასი და რა კრიტერიუმებით შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ასეთ შემთხვევაში. ისტორიულად ამის შესახებ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, პიროს ლეგენდარული ფერმწერის ზევქსის შესახებ, რომ მისი ნაწარმოებები პირდაპირი მნიშვნელობით ფასდაუდებელია. როგორც ჩანს, უძველეს დროშივე ჩაისახა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ხელოვნების ნაწარმოებებს არ გააჩნია ფულადი ექვივალენტი და მისი სრულყოფილების გაზომვა რაიმე მატერიალურით შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მხატვრული ღირებულება ისეთი რამაა, რაც მთლიანად უმაღლეს სფეროს განეკუთვნება და არ შეიძლება რაიმე მატერიალურით მისი შეფასება. ეს საყოველთაოდ ცნობილი იყო და არის კიდეც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხელოვნების ნაწარმოებები საუკუნეების მანძილზე მაინც იყიდებოდა და ყველა ეპოქა თავისებურად აფასებდა ხელოვნების ნიმუშს, თვითონვე ადგენდა გარკვეულ კრიტერიუმებს. მაგალითად, ვთქვათ კვატროჩენტოს ეპოქის ფერმწერის შრომის საზღაურს ხელოსანთა ამქარი იმის მიხედვით იხდიდა, თუ



რა დრო იყო დახარჯული სამუშაოზე ანდა სურათებში ფიგურების რაოდენობის მიხედვით, აგრეთვე ძვირფასი სალებავებისათვის. საერთოდ კი საკითხი, თუ როგორ უნდა განისაზღვროს „დახარჯული გენიალობის რაოდენობა", ყოველთვის დგება და თავიდანვე უნდა მივილოთ ის დებულება, რომ ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშს ფასი არ გააჩნია. მაგრამ მიუხედავად ამისა, თითოეული ნამუშევარი შეიძლება გაიყიდოს და ამდენად დაედოს კონკრეტული ფასი. მაგალითად, ვან გოგის „ზამბახები" ერთ-ერთ აუქციონზე გაიყიდა 53000000 დოლარად, თუმცა იმ დროს ხელოვნების სოციოლოგებისა თუ ხელოვნებათმცოდნეების მიერ დაიწერა: „გაუგებარია, რატომ გაიყიდა ამ ფასად, არ გაიყიდა უფრო მეტად ანდა ნაკლებად". ამგვარად, დამოკიდებულება სურათსა და ფასს შორის, ესთეტიკური თვალსაზრისით, ირაციონალურია.

„ის, რასაც უწოდებენ ეკონომიკურ გემოვნებას, შეიძლება იყოს ეკონომიკური მეცნიერების სოციოლოგიისა და სოციალურ ფსიქოლოგიის ერთობლივი ძალისხმევით შემეცნების საგანი. ესთეტიკას აქ არაფერი ესაქმება" (ბერნშტეინი). აქედან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ბაზარი მართავს ფაქტიურად ძალიან არსებით მხატვრულ პროცესებს. ხელოვნების სოციოლოგიის ერთ-ერთი მკვლევარი არტნი ამბობს: „ხელოვნების თანამედროვე სამყაროში აქსიომადაა აღიარებული ის ფაქტი, რომ ბაზარი მართავს მთელ სამხატვრო მექანიზმს". როგორ არის ამჟამად საქმე ამ მხრივ საქართველოში?! შეიძლება ითქვას, რომ სამხატვრო ბაზრის სისტემა ჩვენში ჯერ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, რადგან ბაზარი გულისხმობს ერთის მხრივ წარმოებას და მწარმოებელს, რომელიც ქმნის პროდუქციას, ხოლო მეორე მხრივ მომხმარებელს. საყოველთაო კრიზისის პირობებში ამ პროდუქციის მომხმარებელი იმდენად ცოტაა ჩვენში, რომ შექმნილი სამხატვრო პროდუქციის ათვისება ფაქტიურად არ ხდება. ეს განაპირობებს საუკეთესო კადრების გადინებას საქართველოს გარეთ და ასევე საუკეთესო ნამუშევრების გატანას ქვეყნის გარეთ, რაც ძალზე დასანანია. ძალიან საინტერესოა წინა სამოცდაათი წლის მანძილზე როგორ იყო ეს პროცესი მოგვარებული. ერთიან საბჭოთა სივრცეში ჩართულ ჩვენს მხატვრობას ეს პრობლემები არ ედგა. ამ დროს უფრო მნიშვნელოვანი სხვა პრობლემები იყო, რადგან თვით სახელმწიფო აწესრიგებდა სოციალურ საკითხებს. ერთის მხრივ, არსებობდა გარკვეული იდეოლოგიური წნეხი. მეორეს მხრივ კი, სახელმწიფო სტრუქტურები: მხატვართა კავშირი და სამხატვრო კომბინატების ქსელი არეგულირებდა ანაზღაურებას თითქმის ყველა მხატვრისათვის.

1950-იანი წლებიდან თითქოს ერთგვარად მოეშვა მოჭიმულ-მობილიზებული იდეოლოგიური დიქტატის ზამბარა, რამაც საზოგადოებას საშუალება მისცა ხმამაღლა თუ არ ეთქვა, შინაგანად მაინც გაეცნობიერებინა, რომ მაშინდელ ჩვენს სინამდვილეში აღმოცენდა ორი ხელოვნება. ერთი, რომელსაც კურირებდნენ და უკვეთავდნენ ოფიციალური წრეები სამხატვრო კომბინატებისა და მხატვართა კავშირის საშუალებით და როგორც წესი, ეს იყო დიდი გაფორმებითი სამუშაოები, სხვადასხვა დაწესებულებების გაფორმება: რესტორნების, ქარხნების და ა. შ. აგრეთვე რევოლუციის ბელადების, პოლიტბიუროს წევრების თუ მთავრობის წარმომადგენელთა პორტრეტები და სხვა. ამ ნამუშევრებს სრულიად კონკრეტულ მოთხოვნილებებს უყენებენ, განსაზღვრული იყო ყველაფერი — დაწყებული თემატიკიდან დამთავრებული სახვითი საშუალებებით. თვით მხატვრები ასეთ სამუშაოს „ხალტურას" ეძახდნენ. სწორედ ამ მხატვრის ანაზღაურება იყო ყველაზე მაღალი მაშინ. არსებობდა მეორე, ე. წ. ჭეშმარიტი ხელოვნება და რჩებოდა კიდეც მხატვრის სახელოსნოში, არ იფინებოდა, არ იყიდებოდა, თუ იყიდებოდა — იშვიათად, ნახევრად გასაიდუმლოებულად და ადამიანები ურთულესი დილემის წინაშე იდგნენ. იყვნენ ერთეულები, რომლებმაც გაუძლეს ყველაფერს და მხოლოდ ჭეშმარიტის მსახურებას შესწირეს თავი — უფრო ხშირად კი ერთი და იგივე მხატვარს ორივე სფეროში უწევდა მოღვაწეობა და ესეც ფაქტიურად გმირობის ტოლფასი იყო. ისინი ერთსა და იმავე დროს მუშაობდნენ ლუკმა-პურისათვის, უარს ამბობდნენ თავიანთ შემოქმედებითი „მეზე" და ამავე დროს იმავ წუთში და იგივე სახელოსნოში სულ სხვაგვარად უნდა მოეხდინა ფაქტის რეალიზება. ასეთი მკვეთრი ცვლილება უდიდეს ენერგიასა და დაძაბულობას მოითხოვდა მხატვრისაგან. ამ წლებს რა თქმა უნდა ბევრმა ვერ გაუძლო. მაგრამ დღეს უკვე ჩანს, სად იდგა ესა თუ ის მხატვარი, შემოქმედების რომელ ნაბიჯზე. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ადამიანები ფაქტიურად ადაპტირებული, მორგებული იყვნენ სიტუაციას. და ამ სისტემის ნგრევამ რთული ფსიქოლოგიური და სოციალური ძვრები გამოიწვია. ეს სისტემა „პერესტროიკასთან" ერთად იწყებს დაშლას და სრულიად დაუცველი მხატვრები პირისპირ აღმოჩნდნენ ბაზრის წინაშე. მისი კანონები თავდაპირველად უცხო და მიუღებელიც კი აღმოჩნდა. მათ მოუწიათ იმის გაცნობიერება, რომ არსებობს ხელოვნებისა და საბაზრო ურთიერთობების ერთმანეთისადმი სრულიად უცხო, მტრულად განწყობილი ორი სამყარო. ამ ორი სამყაროს თანაარსებობის გამოცდილება დასავლეთს უკვე გააჩნია. ჩვენი მიზანია გავეცნოთ ამ გამოცდილებას და შეძლებისდაგვარად მოვარგოთ იგი ჩვენს სიტუაციასა და ჩვენს მენტალიტეტს. ჩვენ ახლა უნდა გავიაროთ ფაქტიურად ის გზა, რომელიც ევროპამ ნაბიჯ-ნაბიჯ საუკუნეების მანძილზე გაიარა... შუა საუკუნეების ოსტატები, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთ ხელოვნებაში მოეპოვებინათ ღმერთიდან და არა ადამიანიდან მომდინარე ღვთაებრივი ჰარმონია. ადამიანი ამ შემთხვევაში გაიაზრებოდა მხოლოდ ღვთაებრივის „გამტარად". იგი ამ უნარს განწმენდის გზით მოიპოვებდა. სწორედ ამ ეპოქაში ყალიბდება ამქრული სისტემა ევროპაში. ამქრის ხელოსნები თავად დებდნენ ხელშეკრულებას დამკვეთთან. ცნობილია, რომ ნიდერლანდელი ოსტატები ურმით დაატარებდნენ თავიანთ სურათებს მე-16, მე-17 საუკუნეებში და თვითონვე ვაჭრობდნენ. მაგრამ უკვე აღორძინების ხანის ჰუმანისტები და მხატვრები შეეცადნენ გადაეხაზათ ხელოსანი მხატვრის სტატუსი, რომელიც თვითონვე ვაჭრობს საკუთარი სურათებით. ისინი ეძებდნენ მეცენატებს, დამფინანსებლებს თავიანთი მხატვრული მიზნების განხორციელებისათვის. ამ მხრივ სიახლეები მე-18 საუკუნემ მოიტანა. სწორედ ამ დროს საფრანგეთში შეიქმნა ახალი სტრუქტურა აკადემიის სახით. იგი თავის წევრებს საკუთარი ნაწარმოებებით ვაჭრობას უკრძალავდა. სწორედ მე-18 საუკუნის დასაწყისში პეროს შემოაქვს ნატიფ ხელოვნებათა ცნება. ბაუმგარტენი აყალიბებს ფილოსოფიის განსაკუთრებულ სფეროს, რომელსაც ესთეტიკა ეწოდება. 30-იანი წლებიდან ჩნდება რეგულარული სამხატვრო გამოფენები და მათთან ერთად მხატვრული კრიტიკა, ხოლო ინგლისის პარლამენტი პირველად იღებს მხატვრის უფლებათა დაცვის კანონს. ეს იყო რომანტიკული ეპოქა. მან მხატვრული სფერო გამიჯნა





კომერციულისაგან და მხატვარ-ხელოსნის ხატი მხატვარ-შემოქმედით შეცვალა. შლეგელი ამბობდა: „რანიც არიან ადამიანები დედამიწის სხვა არსებებისათვის, იგივე არიან მხატვრები სხვა ადამიანებისათვის". ამგვარად, შეიქმნა შემოქმედების რელიგია, რომელშიც მხატვარი სრულიად მოსწყდა კომერციის სფეროს. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იქმნება ახალი ფენა, რომელიც თავს იდებს ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობას. ამგვარად, ნელნელა ხელოვნების წმინდა სამფლობელოში იჭრება კაპიტალის სხეულები და წარმოიშვება არტ-ბიზნესი, რომელსაც აწარმოებს „კომერციული არმიის სპეციალური რაზმი". ეს ბუნებრივი პროცესი იყო, რადგან ხელოვნების სოციოლოგთა აზრით, ხელოვნების სამყაროს წარმოადგენს არა მხოლოდ მხატვარი და მისი ქმნილება, არამედ ის ხალხიც, რომლებიც მატერიალურად უზრუნველყოფს მას და ვინც შეადგენს მის აუდიტორიას. ნაწარმოების შექმნიდან ადრესატ-მომხმარებლამდე საკმაო გზაა გასავლელი თანამედროვე ხელოვნებაში. ნაწარმოები იქმნება სახელოსნოში და მნახველამდე რაიმე გზით უნდა მივიდეს. ეს გზა საკმაოდ გრძელია. საჭიროა შესაფერისი, საგამოფენო სივრცის მოძებნა. ამ სივრცეში ნამუშევართა ხელსაყრელი ექსპორტირება, პროფესიული ინტერპრეტაცია და ესთეტიკური შეფასება, ექსპოზიციის თანმხლები დოკუმენტაცია და რეკლამა და რაც მთავარია, სურათებისათვის საბოლოო ნავთსაყუდელის მოძიება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მათი გაყიდვა. ეს ქმედებათა ჯაჭვია და ამას მხოლოდ მხატვარი, ბუნებრივია, ვერ განახორციელებს. სწორედ აქ ირთვება საქმეში არტ-დილერი, გალერისტი. ამგვარად, აღმოჩნდება, რომ ხელოვნების სამყარო, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, გაორებული კი არა, გახლეჩილიც არის. უფრო მეტიც, ერთმანეთისადმი ანტაგონისტურ ორ სფეროს მოიცავს: კომერციულსა და მხატვრულს. და ამ უკანასკნელზე კი უნდა შევთანხმდეთ, რომ ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებებს ფასი არა აქვს და მიუხედავად ამისა, მას ფასი უნდა დაედოს...

მხატვართა თითოეულ წრეს საკუთარი მომხმარებელი უნდა მოეძებნოს. ეს კი გალერისტებმა უნდა იტვირთონ და ეს პროცესი საგალერიო სისტემის შექმნამ უნდა დაარეგულიროს. თითოეული კერძო გალერეა უნდა მუშაობდეს მხატვართა გარკვეულ წრესთან. გარდა ამისა, უნდა ამუშავდეს სახელმწიფო ინსტიტუტები, თანამედროვე ხელოვნების გალერეა და ხელოვნების მუზეუმი სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს მათი მუშაობა, რათა ხელოვნება არ დარჩეს ობივატელის მოთხოვნებისა და გემოვნების ამარა...

ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს თვით მხატვრების შოკური მდგომარეობიდან გამოყვანას. საქართველოში, კერძოდ კი, თბილისში უკვე არსებობს რამდენიმე კერძო გალერეა, თუმცა მათ ჯერ გამოკვეთილი სახე არ გააჩნიათ. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალ გზაზე, ჩვენ კი, საზოგადოებას, ისლა დაგვრჩენია, რომ შევეგუოთ იმ აზრს, რომ ხელოვნების გაორებულ სამყაროში მოგვიწევს ცხოვრება და შევეცადოთ შევარბილოთ ეს დაპირისპირებულობა და გადავარჩინოთ ხელოვნება და ამით საკუთარი მომავალი, რადგან არსებობს მაღალი ხელოვნება, რომლის ადგილი მუზეუმებსა და გალერეებშია და რომელიც მომავალში ჩვენს ეროვნულ განძს შექმნის.

**ნათია ბახტაძე**
*ხელოვნებათმცოდნე*

ეროვნული



# ვაჰ, დრონი, დრონი...

**დღევანდელი ნომრის სტუმარია საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ბატონი ჯემალ ხუციშვილი**

შეხვდებით თუ არა, მაშინვე მიხვდებით — მხატვარიაო! გაესაუბრებით და დაასკვნით, რომ ასეთია ნამდვილი ესთეტი ადამიანის ხედვა, ხასიათი! იგი თვლის, რომ „იბერიულ-კავკასიური წარმომავლობის ერი არ შეიძლება ამერიკულად აზროვნებდეს, მით უმეტეს, ხელოვნებაში, რომ ჩვენ, ჩვენი სახე უნდა გვქონდეს!"

ჯემალ ხუციშვილი, როგორც ყველა ნამდვილად ნიჭიერი ადამიანი, ძალიან უშუალო და გულწრფელია, ასეთივეა მისი ნახატები, რომელიც ლ. გუდიაშვილს ფიროსმანს ახსენებდა, მის მეუღლეს, ნინო გუდიაშვილს კი — ნოსტალგიურ-ეროვნულ წარსულს.

აპრილში მისი დაბადების დღეა. 60 წელი უსრულდება მხატვარს. ცოტა კი ადრეა, მაგრამ ულრმესი პატივისცემის ნიშნად, პირველებმა გვინდა ჩვენ მივულოცოთ იუბილე...

თქვენ რომ მისი ნახატები ნახოთ, ვერ წარმოიდგენთ რის ფასად მოდის ასეთი სილამაზე და სინატიფე... ბოლო ათი წელია, მისი საცხოვრებელი ბინის სამ კვადრატულ მეტრიან ოთახში იქმნება ეს შედევრები, ასეთ მხატვარს სახელოსნო რად უნდა ენატრებოდეს?!

„სიზმარი," „ბროწეულის ყვავილები", „ეზო სოფელში", „მარანში", „ფიროსმანი" — შეხედავთ ამ ნახატებს და წამოსვლა დაგავიწყდებათ. ალბათ თქვენც ჩემსავით გაიფიქრებთ, თუ დამხატავს, დავრჩები „ნიკალას შველთან", დავრჩები, როგორც „ცისფერი ქალი"...

მხატვარ ჯ. ხუციშვილის ნამუშევრები დაცულია მოსკოვში-აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის სახელმწიფო მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში; პარიზში — თანამედროვე მხატვრობის მუზეუმში; თბილისში — ხელოვნების სახელმწიფო ეროვნულ მუზეუმში; ხალხური შემოქმედების სახელმწიფო მუზეუმში, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ფონდში... ქუთაისში, კასპში, მირზაანში; ქ. იაშვილის სახელობის სახელმწიფო გალერეის ერთ-ერთ დარბაზში, მოწყობილია მხატვრის ნამუშევრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია.

წლების განმავლობაში იგი მონაწილეობს ჯგუფურ გამოფენებში: იაპონიაში, ინგლისში, კანადაში, ამერიკაში, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, პოლონეთში. 1967 წელს მოსკოვში გამართული პერსონალური გამოფენა გადაიცა პარიზის ტელევიზიით.

ქვემოთ გთავაზობთ ბატონ ჯემალ ხუციშვილის მოგონებებს

## მონე, მანე, დეგარო...

თბილისში რომ ჩამოვედი, ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში ჩავაბარე.

თელავში სერგო ასლანიშვილი მასწავლიდა და მე მას ჩემს პირველ მასწავლებელს ვუწოდებ. თითქმის ყველაფერი ვიცოდი, ახალი მეგობრებიც ხშირად მეკითხებოდნენ რჩევას. მიუხედავად ამისა, 1954-55 წლებში გამრიცხეს სასწავლებლიდან.

ფერწერას გვასწავლიდა სპორტული აღნაგობის, ძალიან თავისებური ადამიანი — საურმაგ ლამბაშიძე.

ერთხელაც, სპილენძის თუნგი დაგვიდგა და გვითხრა — დახატეთო!

ნახატი იმპრესიონიზმის სტილში „გავაკეთე" — სქელი ფენებით, მხატვრები „მაზოკს" ვეძახით. კარგად გამომივიდა. „ალფავიტის" მიხედვით იძახებს მასწავლებელი მოსწავლეებს და ოთხებს-ხუთებს წერს. მე სადღაც ბოლოში ვწერივარ სიაში. ვფიქრობ, ნეტავ რას დამიწერს-მეთქი. მგონია მოეწონება ეს ნამუშევარი!

ეს შენიაო? კი-მეთქი, ვუპასუხე. ჰოდა, თუ შენია, იცოდე მომავალში გაგაგდებ, ასე თუ გააგრძელებ... ეხლა სამიანს გიწეროო!"

მეორე დღეს დაგვიდგა მოცემულობა — იმერული დოქი! ჩამოაფარა წითელი ფარდა. წამებში დავხატე, როგორც სხვები აკეთებდნენ: მუქი ყავისფერი „ბულლა" გავაკეთე, განათებაზე თეთრი ფარდა, „კრაპლაკი"-შვინდისფერი. გავიდა ერთი კვირა, იგივე სიის ამოკითხვა განმეორდა. ოო, ეს კარგიაო და ხუთი დამიწერა. ბოლოს, მაინც ჩემსას ვაკეთებდი... ჩემებურად ვხატავდი.

სასწავლებლიდან ძალიან შორს ვცხოვრობდი, სულ ვმუშაობდი, ვხატავდი, მაგრამ ხშირად ველარ ვახერხებდი ოფიციალურ გამოცხადებას სასწავლებელში. 20-25 ჩანახატი „გავაკეთე". მეორე პედაგოგმა-ქალბატონმა შურა ქეთათელაძემ, ლადო გუდიაშვილის კარის მეზობელმა, ნახატები მოიწონა და ერთი სიტყვით, გამოფენა უნდა მოვაწყოთ!

ჩემს ჯგუფელებთან — დავით კაკაბაძის ბიჭთან, ამირან კაკაბაძესთან, დემურ გრიგოლიასთან ერთად მოეწყო გამოფენა.

ჩემი ნამუშევრები შეკრული დავტოვე და წავედი. რომ მოვედი, ყველა ნამუშევარი დაკიდულია კედელზე, ჩემი კი მიწყობილია ქვემოთ, ირგვლივ ახვევია ხალხი და ისმის: მონე, მანე, დეგარო — მაშინ არ ვიცოდი მათზე არაფერი და დავდარდიანდი, რადგან მათ ადარებდნენ...

წავედი თელავში, რომ ჩამოვედი, ვხედავ ბრძანების ამონაწერია გაკრული სასწავლებელში კედელზე — „გაირიცხოს ჯემალ ხუციშვილიო".

ხელს აწერს დირექტორი კოტე კიკნაძე, თუმცა მერე ჩემით ამაყობდა, ჩვენი სტუდენტი იყოო.

# ლურჯი აპრილი

## ლადო გუდიაშვილი

ქალბატონმა შურა ქუთათელაძემ მითხრა: მოიტანე ჯემალ შენი ნამუშევრები და მივიდეთ გუდიაშვილთანო.

წავედით. ლადო გუდიაშვილი ნახატებს დააკვირდა და თქვა: „რა უნდა ვუთხრა, ჩამოყალიბებული მხატვარიაო"... მაგრამ მაშინ თვითონაც აკრძალული მხატვარი იყო, ისევე, როგორც ქიქოძე, კაკაბაძე. როგორ დამეხმარებოდა?!

არასოდეს არ დამავიწყდება 1955 წლის გუდიაშვილის გამოფენა. უჩა ჯაფარიძე მაშინ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე იყო. „რეპრესირებულ" მხატვრებს მოსვლის თოიძე არ უყურებდა კარგი თვალით და ფაშისტებს ეძახდა.

გალერეაში ველოდებით გამოფენის გახსნას, უამრავი ხალხია, უჩა ჯაფარიძემ გამოაცხადა: „გამოფენა არ შედგებაო". უჩა ჯაფარიძის ამ ნათქვამზე ლადო ცუდად გახდა; კარები დაკეტეს, ლადო კი სახლში წაიყვანეს...

მახსოვს, ი. ნონეშვილი მეუღლესთან ერთად იყო იმ დღეს.

ხალხი მთელი ძალით მიაწვა კარებს და შეამტვრიეს.

ვილას აინტერესებდა გამოფენა „ცეკამ აკრძალა თუ ტეკამ", — საოცარი სამყარო, ფერწერები, უამრავი ექსპოზიცია; მეარღნეები მისულან ყარაჩოღულ ტანსაცმელში გამოწყობილნი განაწყენებულ გუდიაშვილთან. აივნის ქვემოთ უმღერიათ, გაუმხიარულებიათ. მერე წამოიყვანეს გამოფენაზე, სადაც ყველა ვულოცავდით დიდ გამარჯვებას.

გავიდა დრო, მოვიყვანე ცოლი, უკვე ბავშვებიც მყავს. ისევ უბინაობა, ვხატავ, მაგრამ...

მტვირთავად დავიწყე მუშაობა, ექსპედიტორადაც ბათუმში, ქუთაისში. ვწვალობ!

ერთი დაწესებულებაა, ქურთებსაც ქირაობენ ხშირად! ერთხელაც, სამ ქურთთან ერთად ვდგავარ და ერთი ქართველი მეკითხება: „თქვენში იციან, არა, ქალების ყიდვაო?!" — ქურთებში მიმათვალა.

მხოლოდ 1966 წელს მოხდა ჩემი აღიარება. მე და გუდიაშვილი ისევ შევხვდით ერთმანეთს. მერე დავმეგობრდით, ჩემი მეგობრებიც მიმყავდა მასთან სახლში. კარგ ამბებს გვიყვებოდა.

ერთხელ მოგვიყვა, როგორ მოიყვანა პარიზიდან ფრანგი ცოლი. „ჩამოვიყვანე ფრანგი ქალი. ბინა არ მქონდა, ვცხოვრობდი თეატრის სცენის ძირში და იქ რომ ჩავსულიყავი, სცენა უნდა გამევლოო;" ასეთი ყოფით შედიოდა გუდიაშვილი „სახლში". ცოლი თურმე გაექცა — „ეს სად ჯოჯოხეთში მომიყვანეო!"

არანაირად არ თბებოდა თურმე იქაურობა და „გრელკებით" ათბობდა გუდიაშვილს მეორე ცოლი — მეტისმეტად მზრუნველი ნინო.



## გ. შავგულიძე და ლ. გუდიაშვილი

ერთ ნაწვიმარ დღეს, შავი ქოლგით სახლში მიდის გუდიაშვილი. ამჟამადაც, სცენაზე უნდა გაიაროს, რომ სახლში შევიდეს. მაგრამ რეპეტიციაა. ყარაჩოღული სცენაა — შავგულიძეს ეუბნებიან, იცეკვეო და ვერ ცეკვავს კინტოურს. უცებ, კოტე მარჯანიშვილმა ლადო გუდიაშვილი შეამჩნია თავისი ქოლგით. მან იცოდა, რომ ლადო კარგად ცეკვავდა და უთხრა: „დადე, ეგ შენი ქოლგა, იცეკვე და აჩვენე კინტოურიო!" გუდიაშვილმა ქოლგა არ დადო, ისე ჩამოუარა სცენაზე ცეკვით „კინტოური".

მთელი ცხოვრება გაკვირვებული იყო ლადო გუდიაშვილი, ეს რა ვნახე, რა ნიჭიერი კაცია გიორგი შავგულიძე, ზუსტად ჩემნაირად, წამებში როგორ შეისწავლა ყველა ილეთი, მიმიკა და გადმოსცა ამ ცეკვის სრულყოფილი ხასიათიო!

## მოდილიანი და გუდიაშვილი

ლადო მოდილიანზე ჰყვებოდა ხშირად. ვიჯექით პარიზში ერთად კაფე „როტონდაში" — ნახატებს ყიდდა, ისე ძალიან უჭირდა და არავინ ყიდულობდაო.

ერთხელ, გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე და ერთიც ესპანელი მხატვარი ამ კაფეში არიან. ამ დროს, დაინახეს — მოდილიანი „აკეთებს" მდიდარი ქალის ჩანახატს, რომელსაც გვერდით ქმარი უზის და სადილობენ.

მოდილიანმა ნახატი მდიდრებს მიუტანა და მოშორებით გაჩერდა. კაცმა ცოტა ფული მისცა, [illegible] შეხედა, არ მინდა, წაიღეთო.

მოდილიანი უხერხულად შეიშმუშნა, ლადოსთან მივიდა და უთხრა: „სამხრეთელი კაცი ხარ და შენთვის მიჩუქნიაო".

## ფიროსმანი

ლადოს ერთხელ ფიროსმანზე ვკითხე, როგორი კაცი იყო-მეთქი! მაღალი ყოფილა, მიმზიდველი, შეხედავდი თუ არა, მიხვდებოდი — მხატვრობა მის საქმე იყო და ბედისწერაც!

ერთხელ, ლადოს მხატვართა კავშირმა ნიკალასთან ფული გაატანა. როგორც იქნა, „კიბის ქვეშ" იპოვა ავადმყოფობით გატეხილი ფიროსმანი გუდიაშვილმა! „მშიერი იწვა და გაუხარდაო". მერე უთქვამს — ეხლა წავიდეთ, ერთად დავლიოთო! უარი რომ უთხრეს, ალალად დაუმატებია: „აი... მაშინ წყალი მაინც მიირთვითო!"

მთელი სიცოცხლე სწუხდა გუდიაშვილი, მეორედ რომ ველარ იპოვა ფიროსმანი და მხატვართა შეგროვილი დახმარება ისევ უკან დააბრუნა კავშირში.

## ჯემალ ხუციშვილი და სადგურის უფროსი

ერთი კურიოზი მახსენდება. პროფკავშირებიდან მოსკოვში ჩემი სურათები გაგზავნეს გამოფენაზე. გავიდა დრო, სადაა ჩემი ნახატები?! ვიკითხე... გურამ გაბაშვილი მეუბნება, ყველა დააბრუნეს, შენი არ სჩანსო.

გავიდა ერთი წელი, მხატვართა კავშირში ვარ. მეუბნებიან: ჯემალ, შენი „მოხუცები" — რკინიგზის სადგურში, განყოფილების გამგეს უკიდია კაბინეტშიო. წავედი...

უფროსი ძონძროხა, დიდი კაცი იყო. ვუთხარი, რაც მინდოდა. ჩვენ ყველაფერი დავაბრუნეთ. რასაც პატრონი არ ჰყავდა, გავანადგურეთ. აქტი შედგენილია, საბუთები წესრიგშია და ვერაფერსაც ვერ დაგიბრუნებთო...

როგორ?! ეს ხომ ჩემი ნახატია-მეთქი! „ეს ჩემი ბებია და ბაბუააო!" ამ ნახატმა ისინი გამახსენა და თუ მოვინდომე, ვერც წაილებ, ვერაფერსაც ვერ მიზამო...

## ნ. დუმბაძე და ნონეშვილის იუბილე

ერთი სურათი მქონდა — „ქალი" და ის მაშინ „ნიანგის" რედაქტორს ნოდარ დუმბაძეს ვაჩუქე. რატომღაც ნოდარმა ამ სურათს ვერიკო ანჯაფარიძე დაარქვა. მე ეს ძალიან გამიკვირდა, მაგრამ არაფერი მითქვამს.

გავიდა დრო. ნოდარი უკვე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა. ვუთხარი: მინდა ჩემი სახელოსნო მქონდეს-მეთქი!

„ვაი, მაგათ პატრონს, მაშ, ვილას აქვს სახელოსნო, რას ფიქრობს მხატვართა კავშირის თავმჯდომარეო", — თქვა და დაიწყო სიცილი.

ნონეშვილის იუბილეა. ვაჩუქე ერთი სურათი.

ვქეიფობთ რესტორან „არაგვში". ნ. დუმბაძეს უკვე სამი ინფარქტი ჰქონდა გადატანილი, მაინც თამადობს.

რასულ გამზათოვი ნონეშვილის მარჯვნივ ზის. დიდხანს ელაპარაკებიან, რომ მე ნონეშვილის წიგნზე წარწერის გვერდით პორტრეტი ჩავხატო; მოვასწარი, საჩუქრით გამზათოვი კმაყოფილი დარჩა; ნოდარ დუმბაძემ შორიდან ხელი ამიწია და გამიღიმა.

ქეიფი დამთავრდა, მსმელები დარჩნენ, სხვები წავიდნენ. ნოდარიც მიდის; გაჩერდა, უნდა გაკოცოო და ჩემი სადღეგრძელო დალია: „ეს არის გენიოსიო!"

დრამატურგმა გიორგი ხუხაშვილმა „აილო" ნოდარის მერე თამადობა: ავიდა სკამზე და ერთი „გენიოსი კაცის" სადღეგრძელო იმანაც დალია!

იმ დღეს იოსებ ნონეშვილი დიდად ბედნიერი პოეტი იყო.

მე, მხატვარი, არანაკლებ ბედნიერი.

**ქეთი ჩადუნელი**

# ანონსი

## ოპერა

28 მარტი
**საბინა მაკ კულის გასტროლები თბილისში** *(იტალია)*

ჯ. ვერდი — **რიგოლეტო**
დას. 18 სთ-ზე.

31 მარტი
**საბინა მაკ კული** *(იტალია)*

ჯ. ვერდი **ტრავიატა**
დას. 18 სთ-ზე.

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი

**ნინელი ჭანკვეტაძის ბენეფისი**
დას. 20 სთ-ზე.

## მარჯანიშვილის თეატრი

27 მარტი
ლალი როსება
**სახლის ანგელოზები**
დას. 18 სთ-ზე.

28 მარტი
თეოდორ დოსტოევსკი
**მარადი ქმარი**
დასაწყისი 18 სთ-ზე.

## რუსთაველი

28, 29 მარტი
ალდო ნიკოლაი. **მაცდური**
დას. 17 სთ.

## გრიბოედოვი

27 მარტი
ნ. დუმბაძე **„თეთრი ბაირაღები"**.

# რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და რუსები საქართველოში



ყველა საგანს თუ მოვლენას აქვს მოკლე თუ ვრცელი, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო წარსული. საქართველოში მცხოვრებ რუსებსაც აქვთ თავისი ისტორიული წარსული, მწველი, თუ მძაფრი, იმედიანი, ზოგჯერ უიმედო – საბოლოოდ კი ზღაპრად ქცეული ადამიანების ისტორია. ურიგო არ იქნება მისი გახსენება, იქნებ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას რამეში სიკეთით წაადგეს, ან იქნებ, რუსული ინტელიგენცია და პოლიტიკოსები უფრო ღრმად ჩაფიქრდნენ.

მე-19 ს-ის საქართველოს კოლონიზაციის ხანას პირობითად სამ პერიოდად ყოფენ. I პერიოდი – 1816 წლიდან ვიდრე 1850 წლამდე. სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი ერმოლოვი, პასკევიჩი და სხვა. 50-60-იანი წლების მიჯნაზე კოლონიზაციის პროცესი დროებით შეწყდა (რადგან კავკასია ცეცხლის ალში იყო გახვეული), ვიდრე რუსეთმა საბოლოოდ არ დაიპყრო კავკასია. კოლონიზაციის II პერიოდად თვლიან დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კავკასიაში მოღვაწეობის ხანას – 1862-1884 წლებს. მესამე და ბოლო პერიოდი ვ. ველიჩკოს სახელს უკავშირდება, რომელმაც საინტერესო რჩევა მისცა რუსეთის პოლიტიკოსებს: „წარსულის მაგალითებით ვისარგებლოთ, რუსები დავასახლოთ თავისუფალ სახელმწიფო მიწდერებზე დიდ სოფლებად, დავუწესოთ საკუთარი მღვდელი, გავუმართოთ სამრევლო სკოლები, თორემ გაქართველდებიანო“.

საქართველოს კოლონიზაციის I პერიოდში რუსეთის მთავრობა გერმანელებს, ბერძნებს, სომხებს და სხვა ეროვნების ხალხებს „მასპინძლობდა“ საქართველოს ტერიტორიაზე. რუსების ჩასახლება ხდებოდა შემთხვევიდან შემთხვევამდე – არაგეგმაზომიერად, რადგან რუსეთი პოლონეთის გარუსების პოლიტიკით იყო გართული“.

გაზ. „დროება“ 1880 წელს წერდა: „ამბობენ მ. ს. ვორონცოვმა 1852 წელს ყირიმიდან ახალციხის მაზრაში რუსის 60 ოჯახი გადაასახლა. დღეს იმათგან 19-20 ოჯახი-ღა დარჩა, დანარჩენი სულ ამოწყვეტილანო“.

1860-იან წლებში ლაგოდეხი თბილისის პოლკის განკარგულებაში იყო. პოლკმა უფლება მისცა ხალხს აეთვისებინათ ტერიტორია. იმ ადგილებში ქართველებთან ერთად რუსები და სომხები დასახლდნენ.

კოლონიზაციის II და III პერიოდი რუსეთის კოლონიური პოლიტიკის აქტიური მოქმედებით ხასიათდება.

1868 წ. სოხუმის ოლქის უფროსმა გეიმანმა მაიაკის ირგვლივ 300 დეს. მიწა დაუთმო რუს მატროსებს დასასახლებლად. ამ ფაქტამდე საქართველოში ებით დარჩენილი ჩინოვნიკები და სამსახურის ვადაგასული რუსი ჯარისკაცებიც ცხოვრობდნენ. მთავრობას იმედი ჰქონდა, ისინი ქართველ ქალებს შეირთავდნენ ცოლად და რუსულ ოჯახებს შექმნიდნენ. პირიქით კი მოხდა – ქალებმა თავიანთი ქმრები თანდათან გააქართველეს და მშვენიერი ქართული ოჯახები შექმნეს. 1864 წელს კავკასიის მთლიანად დაპყრობის შემდეგ, როცა რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად გააუქმა აფხაზეთის სამთავრო (ეწოდა რუსეთის სამხედრო განყოფილება, ხოლო 1883 წელს-სოხუმის ოლქი), მოინდომა ხანგრძლივი ომების წყალობით გავერანებული მხარის დასახლება. ქართველთა სისხლით მორწყულ ამ მიწაზე თანდათან სახლდებოდნენ ჩრდ. კავკასიის მკვიდრნი, ბალტიისპირელები, მოლდაველები, ბერძნები და სხვა ეროვნების ხალხი. რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ სტრატეგიული მოსაზრებით აფხაზეთიდან – სოხუმის, ბიჭვინთის, გაგრის და სხვა სოფლებიდან გაასახლა აფხაზები და მათ ორის ჩერქეზებიც. ნაცვლად იქ რუსეთა რამდენიმე კოლონია დაარსა. მუშახელის სიმცირის გამო მიდამო ეკალბარდებით დაიფარა. 1875 წლისათვის დადგა საკითხი ამ ტერიტორიის ხელახლა ათვისების.

1876 წ. მთავარმართებელმა დაადგინა პატარ-პატარა ნაჭრებად დაერიგებინათ მიწა მათთვის, ვინც დაესახლებოდა და ერთი წლის მანძილზე კუთვნილ მიწას დაამუშავებდა. ასეთ პირებს ხაზინა ფულს ასესხებდა და შემწეობას აღმოუჩენდა. ხოლო ვინც ვენახს გააშენებდა და ღვინოს აწარმოებდა, გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლებდა. მეგრელები გვიან მიხვდნენ, რომ აქედან დიდი სარგებლობის მიღება შეიძლებოდა და მოახერხეს რამდენიმე სოფლის დაარსება. ამ მხარეს ათასობით ხალხი მოაწყდა, მაგრამ გვიან იყო, კოლონიზაციის პრინციპი შეიცვალა-აიკრძალა სახელმწიფო მიწებზე დასახლება („ცნ. ფურც“, 1902, 1817).

ამ დროს ქართული ინტელიგენცია გულ-ხელდაკრეფილი არ იყო და ვერც ინერტულობას ვუსაყვედურებთ. დიდმა მამულიშვილმა ი. გოგებაშვილმა 1878 წელს „ტიფლისკი ვესტნიკში“ დაბეჭდა წერილი, რომელშიაც აღნიშნავდა – ამ დაუსახლებელი ადგილისათვის მოსახლეთა საუკეთესო კონტიგენტად გამოდგება მეგრელები, ბარის იმერლები და ბარის გურულებიო. ოლქის უფროსის ვედენსკის პასუხი დაბეჭდილი გაზ. „კავკაზში“ განმსჭვალული იყო რუსი გლეხებისადმი ზრუნვით და ამ პოზიციიდან გოგებაშვილის წერილს „მხოლოდ ქართველთა უსარგებლოდ გამოთქმული წერილი უწოდა“.

დიდი იყო ი. გოგებაშვილის სურვილი ქართული ტერიტორია, როგორმე სხვა ეროვნების ხალხს არ ხვდომოდა წილად. ის გაემგზავრა აფხაზეთში, ძირისძირობამდე მოიარა მთელი მიდამო, გამოირკვია ყველა კუთხე-კუნჭული და თეორიულ-ფაქტობრივი მასალით გამყარებული დიდი ნაშრომი თორმეტ მეთაურ წერილად დაიბეჭდა „ტიფლისკი ვესტნიკში“. ამჯერად ვედენსკიმ მთლიანად მიიღო ი. გოგებაშვილის პოზიცია და მხარი დაუჭირა მას. ამ საქმეში ჩაერია ქართველთა მეგობარი სტაროსელსკი, შეადგინა ხსენებული ტერიტორიის დასახლების გოგებაშვილისეული პროექტი და გაგზავნა პეტერბურგის მთავრობაში დასამტკიცებლად. ეს ამბავი შეიტყო რეაქციონერმა კატკოვმა, სტაროსელსკის ღალატი დასწამა და მოითხოვა რუსეთიდან გადმოესახლებინათ ღარიბი გლეხობა რა თქმა უნდა, მთავრობამ კატკოვის წინადადება მიიღო. ქართველთა გეგმა ჩაიშალა.

მიხეილ ნიკოლოზის ძის დროს კოლონიზაციამ ფორმა და შინაარსი იცვალა. ენერგიულად დაიწყო ბერების გადმოსახლება და დაბინავება საქართველოში. ათონი გაივსო ბერებით, შემდეგ ქართლსაც მოედვნენ. არქიმანდრიტი პაისი აუარებელი ბერებით დამკვიდრდა ათაბაგთა სავანეში. კოჯორთანაც იქნა გახსნილებული მონასტერი. ბერებს მონაზვნებიც მოჰყვნენ და ბოდბეში დაბინავდნენ წმ. ნინოს სავანეში. ეს აქცია შეთანხმებული იყო უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ პობედონოსცევთან, რომელიც ხელმწიფე-იმპერატორს უქვეშევრდომილესად უცხადებდა: „საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია ხმალამოღებული უნდა იყოსო“.

ამიერკავკასიის მთავრობა 1890-91 წლებში ცდილობდა შეეჩერებინა რუსების ლტოლვა კავკასიისაკენ და უმაღლეს მთავრობას მოახსენებდა: მცირემიწიან გლეხებს ნუღარ გვიგზავნით კავკასიაში ვარგისიანი თავისუფალი მიწების უქონლობის გამო. მართალია, მილის და მუღანის ველი 200000 დესეტინას შეიცავს, მაგრამ იგი ურწყავია, სარწყავი არხების გაყვანა კი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებულიო. მიუხედავად ამისა, უმაღლესი მთავრობა ცდილობდა გასაკეთებელი საქმის გაკეთებას და ავალებდა სახელმწიფო ქონების და მიწათმოქმედების სამინისტროს, გადმოესახლებინათ დახმარე სოხუმის კომიტეტს და სხვა დაწესებულებებს, გამოეძებნათ კარგი ადგილები, თუნდაც ადგილობრივ მკვიდრთა შევიწროების ხარჯზე და იქ რუსები ჩაესახლებინათ. (1890 წელს აფხაზეთის ერთ-ერთი სოფლიდან მოსახლეობა იძულებით გაასახლეს და იქ 70 რუსის ოჯახი ჩაასახლეს („ცნ. ფურც“, 1904, 2625).

პეტერბურგში შედგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა საკამათოდ გამხდარი შავი ზღვის სანაპიროს კოლონიზაციის საკითხი. ამაზე მსჯელობდნენ ქართული და რუსულენოვანი გაზეთები, თანამდებობის მქონე ოფიციალური თუ კერძო ავტორიტეტული პირები. საქმე ის იყო, რომ ეს ადგილები აქამდე ადგილობრივი მნიშვნელობის გახლდათ. ადმინისტრაცია, გაზეთები და სათანადო დაწესებულებები ზრუნავდნენ მასზე და მისი ათვისების და მოწყობის საქმე კავკასიის მთავრობის პრეროგატივად ითვლებოდა. როცა უმაღლესმა მთავრობამ ეს საკითხი თავის მზრუნველობის ქვეშ აიღო, შეუდგა ცნობილი „უცოდველი“ პოლიტიკის გატარება-განხორციელებას, რომელიც ერთი შეხედვით ჰუმანური იყო-ვითომ ღარიბ გლეხთა სასარგებლოდ და მათ დასახმარებლად, ფაქტიურად მას დაუოკებელი ლტოლვა ჰქონდა კავკასიის მოსახლეობაში, „რუსული ელემენტის“ რაოდენობრივი გაზრდისა.

1897 წლის და 1898 წლის მარტმაისში უმაღლესმა მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის მიხედვით შავი ზღვისპირა მდნების საკუთრებაში შეძენა და იჯარით აღება არარუსი ხალხისათვის აიკრძალა. ხოლო 1902-03 წლებში საკამათოდ გახდა ეს კანონი – იყო თუ არა იგი სასარგებლო შავიზღვისპირა საგუბერნიო კომიტეტისათვის. მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გვიდუმა საბოლოო სიტყვაში განაცხადა „აღიარებულ იქნას, რომ არსებული კანონი უცხოელთა და არარუსთა მიწისმფლობელობის შეზღუდვის შესახებ შეესაბამება გუბერნიის ინტერესებს და სარგებლობასო“.

1898 წლის „ცნობის ფურცლის“ ცნობით, იქ გადმოსახლებულ 35 ოჯახს 1900 წელს გაუხსნეს რუსული სკოლა, რაზედაც დიდმა მთავარმა მადლობა გადაიხადა, მაგრამ გამოთქვა შიში, რომ ციეცხლება რუსებს დიდად შეაწუხებსო.

1899 წელს გადასახლებულთა დამხმარე საზოგადოების კავკასიის კომიტეტის სხდომაზე წაიკითხეს ანგარიში, რის მიხედვითაც თავისუფალი მიწები აღმოჩენილა საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში. („ცნ. ფურც“, 1899, 44 ცნობები ამოღებულია გაზ. „კავკაზიდან“). სტატისტიკური მონაცემებით დადგინდა, რომ მთელ ამიერკავკასიაში იყო სულ 78 რუსული სოფელი, ზოგიერთი ქართველებთან შერეული. კომლთა რაოდენობა 7309 ანუ 44530 სული. თბილისის გუბერნიაში დაფიქსირდა 32 რუსული სოფელი; თბილისის მაზრაში 12, ახალქალაქის–8, ბორჩალოს-7, გორის-10 ქართველებსა და ოსებთან ერთად, სიღნაღის-4 საკუთარი სოფელი, თელავის მაზრაში 7 კომლი („მოამბე“,1899,№4).

ამავე წყაროს მიხედვით ვიგებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხო ტომის ხალხზე გაცემული ყოფილა დიდძალი მამული. განჯის რუსების ერთ კომლზე გაუციათ 36,7 დესეტინა. თითო გერმანულ ოჯახზე-32,24 დეს. ახალქალაქის გერმანელთა 1 კომლზე-39,2 დეს. თბილისის გუბერნიის გერმანელებზე-26,76 დეს. მაშინ, როცა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა დიდად იყო შეწუხებული უმიწობით. მინიმუმი იყო 2დეს. მაქსიმუმი-3. ვინ იყო მათი გამკითხავი?

1900 წელს ყარაიაზში 170 რუსი მოსახლე გადმოასახლეს, 1901 წელს-7, ახლადმიღებულ 13 კომლს კი მთავრობამ აღუთქვა დახმარება 260 მან. ოდენობით, თან აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, დამატებით გამოეყოთ კიდევ 1600 დეს. მიწა. ამავე დროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მოუვიდა დავალება შეეწყოთ ხელი უფასო მგზავრობით იმ „დიდძალი რუსის გლეხებისათვის, რომლის საქართველოში ჩამოყვანა დაგეგმილი იყო ზაფხულში“.

1902 წელს იგივე პრობლემა დომინირებს საქართველოში-დაადგინონ სავარგული მიწები („ცნ.ფურც“,1902,1780) და გამოიკვლიონ ჭიათურის წყლის ვარგისიანობა („ცნ.ფურც“,1902,2176).

მალე მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა თავადი მასალსკი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ყველა წვრილმანი და შეადგინა ყოვლისმომცველი კომფორტაბელური პროექტი შავი ზღვის სანაპიროდან რუსეთის შიგა გუბერნიაში გაეყვანილიყო რკინიგზა, გახსნილიყო სამეურნეო სკოლები, დაარსებულიყო კურსები, ყველა სამეურნეო იარაღი საზღვარგარეთიდან გამოწერილიყო... მისცემოდათ ყოველგვარი შეღავათი ადგილმამულების მოპოვებისა... ერთი სიტყვით, გრანდიოზული მშენებლობა უნდა დაწყებულიყო, ყოველგვარი კომფორტის დაცვით. არაფერი არ იყო დავიწყებული. შეიძლება ითქვას, რომ მასალსკის ფანტაზიას (რომლის რეალობად ქცევა შეუძლებელი არ იყო) საზღვარი არ ჰქონდა (წერილი დაიბეჭდა 1902 წლის „ტორგოვოპრომიშლენნაია გაზეტას“ ბოლო ნომერში). აღსანიშნავი და გულსაკლავი ის იყო, რომ მასალსკის რთული და ვრცელი პროექტი მიგვითითებდა მასზე, რომ შავი ზღვის სანაპიროს „გაცხოველების და აღორძინების“ ძირითად საშუალებად მთავრობას რუსეთიდან გადმოსახლებული ხალხი მიაჩნდა. ადგილობრივ მკვიდრ ქართველებზე იქ არც ერთი სიტყვა არ იყო თქმული („ცნ. ფურც“, 1902, 1699).

1903 წელს ისეთივე ინტენსიურობით გრძელდება გადმოსახლების ციებცხელება. მუღანის ველზე რუსებმა რამდენიმე სოფელი გააშენეს. უწყლობის პრობლემამ შეაწუხათ.

1904 წელი არაფრით განსხვავდება 1903 წლისგან. სიღნაღის მაზრაში ჩასახლებულთა დასახმარებლად რუსეთის მთავრობამ 7300 მან გადადო („ცნ. ფურც“, 1904, 2526). დაადგინეს ახლომახლო ტყეებიდან უფასოდ მიეცათ მასალა სახლების ასაშენებლად. ძველი გონიის ციხესთან 200-მდე რუსის ოჯახს ასახლებენ და აპირებენ მათთვის ჭოროხზე ბორნის გაკეთებას, იუწყებოდა გაზეთი („ცნ. ფურც“, 1904, 2583).

მომდევნო წლის მღელვარე ხანაში, მარტის თვეში რუსეთის მთავრობამ მოინდომა სოფ.ჭოტორ-ნუკრიანისთვის მამულების ჩამორთმევა რუსთა დასასახლებლად. მათ ქიზიყის სოფლებიდან მიიწვიეს ხალხი და საერთო კრებაზე დაადგინეს „მოისპოს საბოლოოდ უცხო ტომის ხალხის ჩამოსახლება მიწის სიმცირის გამო“. ვინ უსმენდა მათ? მალე სოფ. სამთავისში მცხოვრებ 30 კომლ ადგილობრივ მკვიდრთ, რომელნიც 100 დეს. ურწყავ მიწებს ფლობდნენ, 10 კომლი რუსის ჩასახლება მოინდომეს. „ეს რომ განხორციელდეს, უდიდეს გასაჭირში ჩავცვივდებითო, წერდნენ სოფლელები გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში“.

რუსთა მოსაწყობად ხაზინამ დიდძალი ფული გამოყო. თბილისის გუბერნიის ხარჯებისათვის ერგო 93,700 მან.

მაყვალა გაჩეჩილაძე

(გაგრძელება იქნება)

# ახალი ამბები

## „სტალინელი“ სმკ-ს ურიგდება, ზვიადისტებს – არა

სხვადასხვა ორიენტაციის ქართულ პოლიტიკურ ძალთა ურთიერშერიგების პროცესში ე.წ. ზვიადისტების ჩართვას საზოგადოება „სტალინელის“ თავმჯდომარე გრიგოლ ონიანი შეუძლებლად მიიჩნევს. როგორც მან გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, რაიონებში მცხოვრები, ფეხის ხმას აყოლილი ზვიადისტები კარგა ხანია შემოურიგდნენ ხელისუფლებას და თავისი ძველი საქციელი სასაცილოდაც არ ჰყოფნით. სულ სხვა საქმეა გამსახურდიასთან დაახლოებული 500-კაციანი ჯგუფის შემორიგება, რომელსაც, ონიანის თქმით, სხვა პოლიტიკური ძალების მიმართ ალერგიული დამოკიდებულება აქვს.

„ზვიად გამსახურდია ომის მონაწილეებს ცინიკურად ეუბნებოდა, ნუ დაიკიდებთ ამდენ მედალს, თორემ მეხი დაგეცემათო“ - იხსენებს ონიანი და დასძენს, რომ მსგავსი დამოკიდებულების გამო ზვიადისტებთან არათუ პოლიტიკური, არამედ თაობებს შორის შერიგების მიღწევაც შეუძლებელია. თუმცა ამის გამო იგი დიდად არ ნაღვლობს.

სულ სხვა აზრი აქვს ონიანს სმკ-ის თაობაზე. მას შემდეგ, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ბედ-იღბლის შესახებ მიხეილ საკაშვილს ესაუბრა და 9 მარტს სმკ-ის გენერალურ მდივანთან ერთად სტალინის სკვერი ყვავილებით შეამკო, ონიანი დარწმუნდა, რომ სმკ პოლიტიკურ ქულებს კი არ აგროვებს, მართლაც სურს შერიგება. „ჩემი დაფასებით საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა ჩემი თაობის ღვაწლი დააფასა, რაც გამსახურდიას არასდროს გაუკეთებია, ამიტომ მათთან შერიგების პერსპექტივა მართლაც რეალურია“ - აცხადებს საზოგადოება „სტალინელის“ თავმჯდომარე.

## მერია გარე ვაჭრობის აღკვეთას ისევ აპირებს

საგადასახადო სამსახურების ანალიზმა აჩვენა, რომ ბაზრობებიდან და გარე ვაჭრობიდან ბიუჯეტს უამრავი შემოსავალი აკლდება. ამას გარდა, ვაჭრობის ორგანიზებულად წარმართვისათვის, მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოვაჭრეთა ბაზრებში შეყვანა, რასაც ხშირად ამ კატეგორიის ადამიანების პიკეტები მოჰყვება. თბილისის მერის, ბადრი შოშიტაიშვილის თქმით, ქუჩაში მოვაჭრეებმა ბაზრობებზე არსებული თავისუფალი ადგილები რომ დაიკავონ, გარე ვაჭრობა საჭირო აღარ იქნება. მისივე თქმით, მერია სანიტარული სამსახურებისა და ქალაქის პოლიციის დახმარებით, აპირებს ამ პროცესების მოწესრიგებას.

## საქართველოს მთავარი უბედურება სიზარმაცე ყოფილა

საზოგადოება „სტალინელის“ თავმჯდომარე გრიგოლ ონიანი ხელისუფლების ეკონომიკურ წარმატებებს „არც ისე მოკრძალებულად“ აფასებს. როგორც მან გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა 1921-დან 1961 წლის ჩათვლით საბჭოთა კავშირში უმცროსი ტექნიკური პერსონალის ხელფასი 27 მანეთს შეადგენდა. 1995 წლიდან 1998 წლამდე კი, ამავე კატეგორიის მოსამსახურეთა ხელფასი საქართველოში 30 ლარამდე გაიზარდა. ამით დამოუკიდებელმა საქართველომ სამ წელიწადში აჯობა საბჭოთა კავშირის 40 წლიან პერიოდს.

ონიანის აზრით, საქართველოს მთავარი უბედურება უმუშევრობაში კი არა, სიზარმაცეშია. „სამი წელია სოფელში იჯარით აღებული ვენახი ვერავის დავაბარინე, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის კარგ გასამრჯელოს ვიძლეოდი“ - ამბობს ონიანი. მისივე თქმით, საქართველოს მანამ არაფერი ეშველება, სანამ ამ ზარმაც თაობას ახალი არ შეცვლის, რომელსაც შეგნებული ექნება, რომ თუ არ იმუშავებს დაიღუპება.

## ბრძანება უკვე გაცემულია

თბილისის მერიის მთავარმა მრჩეველმა ენერგეტიკის საკითხებში თემურ ჭინჭარაულმა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა უკვე გამოსცა ბრძანება ელექტროენერგიის მრიცხველების ბინებიდან გარეთ გამოტანის შესახებ, რის საფუძველზეც მუნიციპალურ საწარმო „თელასს“ დაევალა განახორციელოს მასშტაბური ღონისძიებები ამასთან დაკავშირებით. „ეს უკვე აუცილებლად შესასრულებელი ღონისძიებაა“ - დასძინა თემურ ჭინჭარაულმა.

გეა

**Дока пицца** **Doka pizza**

☎ 94-07-00

| | |
|---|---|
| სოსისით | 2-00 |
| ქათმის ხორცით | 2-50 |
| ვიჩინით | 2-50 |
| სოკოთი | 2-50 |
| ვიჩინით და სოკოთი | 3-00 |

ადგილზე მიტანა 2-00

## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას ზოგად აუდიტში*

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5, მე-12 სართ. ტელ.: 93-15-89

*გამოიწერეთ გაზეთი*

# „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

– მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
– გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
– დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
– ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
– ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
– აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
– რ.თაბუკაშვილის ქ. №12
– ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
– ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.

## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს უთმობს სარეკლამო განცხადებებს.

რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.

ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის

**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

## ძვირფასო ბიზნესმენებო!

თქვენი საქმიანობის რეკლამირებას პროფესიონალიზმი სჭირდება. გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება გაძლევთ უნიკალურ საშუალებას გქონდეთ მაღალი დონის რეკლამა.

ჩვენ დაგეხმარებით სარეკლამო გეგმის შედგენაში;

გაგიწევთ კონსულტაციას და შეგისრულებთ ნებისმიერი სახის სარეკლამო დავალებას;

ჩავატარებთ არსებული მასალის ექსპერტიზას.

დაიზღვიეთ თავი შეცდომებისაგან!

ჩვენი მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული. ტელ: 93-18-41, 93-20-36

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია



## გიწვევთ!

გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება სამუშაოდ გიწვევთ 19-დან 30-წლამდე ასაკის ახალგაზრდებს.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, ტელ: 93-18-41, 93-20-36.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. ენდშპილი; 5. მარჩბივი; 9. წანდილი; 10. ცირკი; 11. შეიდიში; 13. ტაისონი; 15. არმაზი; 16. დუენია; 17. კიქსი; 20. მეტასტაზი; 22. ნარიმანდი; 24. მარხილი; 25. პლატონი; 27. პირამიდა; 31. ნიკოლაძე; 32. სალუქვაძე; 33. ალქიმია; 34. შიონი; 35. არქილი.

**შვეულად:** 1. ოპოზიცია; 2. ოჩოპინტე; 4. ნოტაცია; 6. ვარშავა; 7. ტაიძიციუანი; 8. კიკბოქსინგი; 12. აზბესტი; 14. მუშამბა; 18. ნალია; 19 ტრაპი; 21. ტორტმანი; 23. ნაიდორფი; 24. „მართალი“; 26. იზაბელა; 28. ასტამი; 29. კუმიტე; 30. კვანტი; 31. ნემანი.

# კროსვორდი



**თარაზულად:** [illegible] სამკურნალო ღონისძიება; 3. ჯგუფი ადამიანებისა, რომლებსაც აერთიანებს საერთო საქმიანობა; 5. ნივთების ან ფულის გათამაშება ბილეთებით; 6. ქალაქი იტალიაში; 8. ბალახოვანი დეკორატიული მცენარე; 9. ქიმიური ელემენტი; 11. მკვრივი წყალშეუღწევი მინერალური მასა; 13. ქართული ხალხური ეპოსის გმირი; 14. სოფელი ცაგერის რაიონში; 15. ქალაქი ტეხასის შტატში (აშშ); 18. სოფელი ქარელის რაიონში; 22. ხომალდის ანძაზე მიმაგრებული მკვრივი ტილო; 25. ოცი კაპიკი; 26. კუთხე საქართველოში; 28. ხელსაწყო, რომელიც რაიმე გარკვეულ მუშაობას ასრულებს; 29. საზაფხულო დასასვენებელი ადგილი; 30. საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი; 31. ვისიმე საქმიანი და პოლიტიკური კვალიფიკაციის განსაზღვრა.

**შვეულად:** 1. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა; 2. მდინარე საქართველოში; 3. ჩანთოსანი ძუძუმწოვარი ცხოველი; 4. ნივთიერება, რომელიც არ ატარებს ელექტრობას; 5. დიდი საზღვაო ან საოკეანო გემი; 7. ყურძნის ჯიში; 8. მთავარი არტერია; 10. თბილისის უბანი; 11. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 12. კავკასიონის მწვერვალი; 15. მაღალი მარადმწვანე წიწვოვანი მცენარე; 16. აშშ-ს შტატი; 17. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 19. სარტყლის შესაკრავი; 20. სოფელი ჭიათურის რაიონში; 21. მეტყველების რიტმულ-მელოდიური აწყობა; 23. ორგანული ნივთიერება ამინომჟავების ჯგუფიდან; 24. მკურნალობა ჰაერის, ზღვის, მიწის ზემოქმედებით.

**დიაგონალურად:** 1. მარადმწვანე ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე; 10. თვალის ფერადი გარსის ანთება; 11. რაიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის განყოფილება; 22. სამართლის დარგის სპეციალისტი; 27. ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში არაბობის დროს; 30. ქარელის რაიონის სოფელი.

# განცხადებები

შევასწავლი ბერძნულ სალაპარაკო ენას. ტელ: 74-36-08 დღისით 13-00-დან — 20-00 სთ-მდე. 899-55-85-53 საღამოს 20-00-დან 23-00-მდე. იკითხეთ ქეთი

---

შევასწავლი რუსულ ენას და ლიტერატურას სკოლის მოსწავლეებს. ტელ: 74-36-08 დღისით 13-00-დან 20-00-მდე. ტელ: 899-55-85-53 საღამოს საათებში 20-00-დან 23-00-მდე. იკითხეთ ქეთი.

---

მოვამზადებ ბავშვებს გერმანულ ენაში სახლში მისვლით. ფასი 30 ლარი. ტელ: 61-71-43 ნათია.

---

ვყიდი გერმანული კომპაქტდისკების ნაკრებს (50ცალი). არის კლასიკის, ბაროკოს, რომანტიზმის პერიოდის კომპოზიტორთა და „ქანთრის“ წარმომადგენელთა ნაწარმოებები ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. სულ 50 კომპოზიტორის 200-მდე ნაწარმოები. ფასი 1200 დოლარი. ტელ: 61-71-43 ნათია

---

ვყიდი ოცდახუთვატიან დინამიკებს. ფასი 60 ლარი. ჩეხურ აკუსტიკურ გიტარას, ფასი 80 ლარი. ტელ: 39-39-92

---

ვყიდი ფერად ტელევიზორს „ჰორიზონტს“ მუშა მდგომარეობაში ფასი 60 ლარი. ტელ: 39-39-92

იყიდება 2-ოთახიანი სუფთა ბინა ლოჯით, ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, ხუთსართულიანი სახლის I სართულზე, მაღალ ბელეტაჟზე, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“ ახლოს, ფასი 22000 დოლარი. ტელ: 37-23-78

---

იყიდება სოსისის მოსახარში დანადგარი, წყლის დისტილიატორი, ავტომანქანის მაგნიტოფონი 4 დინამიკით, იაპონური. შტანგები და ჰანტელები. ტელ: 96-10-50

---

იყიდება ჩეხური, კუთხის 2-ოთახიანი გარემონტებული ბინა, რკინის კარებით, ტელეფონით, სარდაფით, რკინის ავტოფარეხით გლდანის მე-6 მიკრ, მე-8 სართულზე. ტელ: 68-82-09

---

ქირავდება 3ოთახიანი ბინა გამსახურდიას გამზირზე, ტელეფონით, საჭირო ავეჯით, მეტრო პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, ფასი 200 დოლარი. ტელ: 38-15-[illegible]

---

ქირავდება 1,5-იანი იზოლირებული ბინა დიდ დიღომში, 1-მკრ, მე-5 სართულზე, ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-71-48

---

იყიდება ზუგდიდის რაიონში, ს. რუხის ცენტრში ორსართულიანი კერძო სახლი ორი ნაკვეთით, კაპიტალური სამზადით, მარნით, ბეღელით, ბოსელით და სხვა დამხმარე ნაგებობებით, საკუთარი ჭით. ფასი 15000 დოლარი. ტელ: 93-20-36

## მიცვალებულთა დამკრძალავი ფირმა „მემია“

თითოეული ჭირისუფლის გვერდითაა და შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობს შეგიმსუბუქოთ გასაჭირი.

მაღალკვალიფიციური ექიმი-პათოლოგ-ანატომები, რომლებიც მხოლოდ ჩვენს ფირმაში მუშაობენ, მიცვალებულის ბალზამირებას მოახდენენ ამისათვის გათვალისწინებული ყველა წესის სრული დაცვით.

თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ შეუკვეთოთ დაკრძალვის სხვა ატრიბუტებიც: კატაფალკი, სასახლე, სუდარა, სამგლოვიარო მუსიკა, ავტობუსები, ძლეხის დარბაზი და სხვა. შეკვეთების მიღება მხოლოდ სადისპეტჩერო სამსახურის ტელეფონებზე.

დაგვირეკეთ: 38-40-02, 98-43-44, 34-50-01, 96-91-43

**მოიგეთ!**

გაზეთ „საქართველოს“ მუდმივო მკითხველო, ნუ გადააგდებთ გაზეთის ნომრებს და ვინც პირველი რედაქციაში წარმოადგენს 25 ნომერს, იგი დასაჩუქრდება უცხოური ფერადი ტელევიზორით ან მუსიკალური ცენტრით (თქვენს არჩევანზეა).

გაყალბება გამორიცხულია.

**გისურვებთ გამარჯვებას!**


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444